# ალია

რეკლამა „ალიაში“: 5 77 444 442

N173/3103/ 25 ნოემბერი 2014 წ ფასი 1 ლარი

ორშაბათი ქრონიკა, სამშაბათი ალია, ოთხშაბათი ალია, ხუთშაბათი ალია, პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE გამოდის 1995 წლიდან

## სოსო ცინცაძე: „ნინო ბურჯანაძე თავის დროზე რატომ ჩავიდა მოსკოვში, ბიზნესი აქვს მოსკოვში, თუ სხვა რამე აინტერესებდა? ის ჩავიდა სწორედ მაშინ, როცა საჭირო იყო, მაგრამ დღესაც უხსენებენ, პუტინთან იდგაო...“



„ხომ ხედავ, რომ მეგობრები იმდენს ვერ გეხმარებიან, რასაც შენი მოწინააღმდეგე ცუდს გიკეთებს“

## შალვა ოგბაიძის პროექტი თბილისში საცობებს მოსპობს

რა პოზიციას დაიჭერენ მერი ნარმანია და საკრებულო?



## რატომ დაეცა ლარის კურსი და რა ელის მას?

## „ღარიბაშვილი ორგასაღებიან სისტემას სთავაზობს და მეტი რა ჯანდაბა უნდათ?!“



„თუ არ ენდობიან, შეიტანონ ცვლილება კანონში, რომ ამ საქმის ინსპექტორი პარლამენტმა დანიშნოს“

## ვინ და რატომ მოითხოვს სააკაშვილის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკის დახურვას?



რეკლამა: 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

## პრეზიდენტი აფხაზეთსა და რუსეთს შორის თანამშრომლობის დოკუმენტის გაფორმებას ეხმაურება



საქართველოს პრეზიდენტი აფხაზეთსა და რუსეთს შორის თანამშრომლობის ე.წ. დოკუმენტის გაფორმებას გამოეხმაურა.

„ეს ნაბიჯი ახალ გამოწვევას უქმნის საქართველოს. აფხაზეთის ანექსიისკენ გადადგმული ნაბიჯი სამხედრო, სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ სივრცეში აერთიანებს დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორიას და მას რუსეთის ნაწილად აქცევს. ხელშეკრულება არღვევს საერთაშორისო თანამეგობრობის ნორმებს. ჩვენ უნდა გავიაზროთ ის, რომ ამ საკითხზე ადეკვატური პასუხის მიღების გარეშე რუსეთის ექსპანსიონისტურ პოლიტიკას მომავალი ექნება. ამ პოლიტიკას უნდა ჰქონდეს წინააღმდეგობა. მოვუწოდებთ, საერთაშორისო თანამეგობრობას, რომ ამ პოლიტიკის ირგვლივ გაერთიანდეს. აუცილებელია მოწვეული იქნას გაეროს უშიშროების საბჭო, სადაც აღნიშნული საკითხი იქნება განხილული. ასევე, ეუთოს, ევროკავშირის, ნატოსა და სხვა ფორუმებზე უნდა წამოიწიოს ეს საკითხი“, – განაცხადა პრეზიდენტმა.

მარგველაშვილის თქმით, აღნიშნულ საკითხზე ის კონსულტაციებს არასაპარლამენტო პოლიტიკურ პარტიებთან და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან გეგმავს.

„მოვუწოდებ, ამ მიზნით გაერთიანდნენ პოლიტიკური პარტიები, სამოქალაქო საზოგადოება, პოლიტიკური ორგანიზაციები და ერთიანად გამოვიყენოთ ყველა ის პლატფორმა, რომლის მეშვეობით შევძლებთ ამ თემაზე ხმამაღლა ვისაუბროთ. პოლიტიკური ძალებისა და საზოგადოების კონსენსუსის შედეგად შეგვიძლია გავიაზროთ და ახალი წინადადებებით ვილაპარაკოთ იმ პრობლემებზე, რასაც წარმოადგენს ოკუპირებული ტერიტორიები. აქედან გამომდინარე, ვიწყებ კონსულტაციებს არასაპარლამენტო პოლიტიკურ ძალებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, იმ საკითხთან დაკავშირებით, როგორ ვიმოქმედოთ ერთობლივად ამ პრობლემის დასაძლევად“, – განაცხადა პრეზიდენტმა. (ნიუპოსტი)

## მამაკაცს მერვე სართულიდან გადმოვარდნილი კარადა დაეცა



საცხოვრებელი კორპუსის მერვე სართულიდან გადმოვარდნილი კარადა გამვლელ მამაკაცს დაეცა, რომელიც მრავლობითი დაზიანებებით სასწრაფო-სამედიცინო დახმარების მანქანით კლინიკაში გადაიყვანეს. მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. ამ დრომდე უცნობია, რა გახდა კარადის გადმოვარდნის მიზეზი. შემთხვევა ნაძალადევის რაიონში დადიანის ქუჩაზე მოხდა. კარადაში საყოფაცხოვრებო ნივთები და დაკონსერვებული სურსათი ინახებოდა. (პირველი რადიო)

## რესტორნების სია, სადაც საეჭვო ხორცი აღმოაჩინეს



სურსათის ეროვნული სააგენტო თბილისში მდებარე იმ რესტორნების სიას აქვეყნებს, საიდანაც საეჭვო წარმომავლობის ხორცი იქნა ამოღებული. სააგენტოს ინფორმაციით, რესტორნებმა „ქაშნაგირი“, „თეთრი სახლი“, „გაგრა“ და „უშბა“ ვერ წარმოადგინეს ხორცის კეთილსაიმედოობის დამადასტურებელი დოკუმენტი ფორმა №2, რაც იმის დასტურია, რომ ხორცი სასაკლაოს გვერდის ავლით არის დაკლული და საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას.

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 66-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ბიზნესოპერატორები 1000-1000 ლარით დაჯარიმდნენ.

სააგენტოს ცნობით, ხორცი დალუქულია და კანონმდებლობის შესაბამისად გაანადგურებენ. (პირველი რადიო)

## მეშვიდეკლასელი გოგონას გაუპატიურებაში ბრალდებულს ასაკის გამო, სასჯელი არ შეეფარდა



მე-7 კლასელ გოგონას გაუპატიურებაში ბრალდებულ ორ ბიჭთან დაკავშირებით სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა. ერთ-ერთ ბრალდებულს, რომელიც 14 წლის არის სასამართლომ აღმკვეთი ღონისძიების სახით მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნა შეუფარდა. პასუხისმგებლობის ეს ფორმა პროკურატურამ მოითხოვა. ხოლო მეორე ბრალდებული განაჩენის გარეშე დარჩა, რადგან ის 13 წლის არის. სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით კი პირს პასუხისმგებლობა 14 წლიდან ეკისრება.

გამოძიების ინფორმაციით 12 წლის გოგონას გაუპატიურებაში ამავე სკოლის მერვე კლასის ორი მოსწავლეა ბრალდებული. დაზარალებულის ჩვენებიდან ირკვევა, რომ ისინი გოგონას ვიდეოს გამოქვეყნებით აშანტაჟებდნენ და ორი თვის განმავლობაში მასზე ძალადობდნენ, თანატოლები კი სკოლაში დასცინოდნენ. ექსპერტიზამ გოგონაზე სექსუალური ძალადობის ფაქტი დაადასტურა.

გავრცელებული ინფორმაციით, მშობლებმა გოგონა იგივე სკოლაში დააბრუნეს. ამასთანავე, ოჯახის გადაწყვეტილებით, სოციალურ მუშაკებს ამ დრომდე არ ეძლევათ საშუალება, რომ ძალადობის მსხვერპლს შეხვდნენ. ბრალდებული ბავშვები კი ამჟამად სკოლაში არ დადიან. (პირველი რადიო)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

## უამინდობის გამო გომბორის უღელტეხილზე მოძრაობა შეიზღუდა



უამინდობის გამო გომბორის უღელტეხილზე მოძრაობა შეიზღუდა. საპატრულო პოლიცია ავტომანქანებს თელავიდან გომბორი-ვაზიანის მიმართულებით აღარ უშვებს. გზის ამ მონაკვეთზე ინტენსიურად თოვს. გზის გაწმენდითი სამუშაოებიც ინტენსიურად მიმდინარეობს. ამის მიუხედავად, გზის ამ მონაკვეთზე მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გარეშე ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა შეზღუდულია.

გაწმენდით სამუშაოებთან ერთად საგზაო სამსახურის თანამშრომლები გომბორის უღელტეხილზე ტექნიკურ მარილს ყრიან. (ინტერპრესნიუსი)

## მიხეილ სააკაშვილის ოპერატორი დაიკითხა




პროკურატურაში მიხეილ სააკაშვილის პირადი ოპერატორი თამაზ შავშიშვილი დაიკითხა. როგორც დაკითხვიდან გამოსულმა შავშიშვილის ადვოკატმა ოთარ კახიძემ განაცხადა, პროკურატურის კითხვები ძირითადად 2008 წლის პერიოდში მიხეილ სააკაშვილის მიერ გამართული შეხვედრების ამსახველ ვიდეომასალას შეეხებოდა.

„გამომძიებელს აინტერესებდა 2008 წლის აგვისტოში პრეზიდენტის მონაწილეობით გამართული შეხვედრების, ასევე მისი მიმართვების ამსახველი ვიდეომასალის არქივების ბედი. ამ შემთხვევაში დასაკითხი ახორციელებდა მხოლოდ ვიდეოგადაღებას და მის უფლებამოსილებაში არ შედიოდა არქივების შედგენა. მასალები გადაეცემოდა ტელევიზიებს შემდგომი გაშუქების მიზნით. ეს ინფორმაცია მიეწოდა გამომძიებელს. 8 წლის წინანდელი კონკრეტული გამოსვლის შინაარსის გახსენება რთულია, თუმცა ზოგადი პასუხები ყველა კითხვას გაეცა, მათ შორის იმას, რა გამოსვლებს იღებდა და შემდეგ როგორ გადასცემდა მათ საინფორმაციო სააგენტოებსა თუ ტელევიზიებს. რაიმე კონკრეტული კითხვა კონკრეტული შეხვედრის შესახებ არ დასმულა“, – განაცხადა კახიძემ. (ინტერპრესნიუსი)

## რობერტ სტურუას მსოფლიო თეატრის ელჩის წოდება მიენიჭა



თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტმა რობერტ სტურუას მსოფლიო თეატრის ელჩის წოდება მიანიჭა. ეს გადაწყვეტილება თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტის 34-ე კონგრესმა მიიღო, რომელიც ერევანში გაიმართა. ცნობილ ქართველ რეჟისორს ეს წოდება მსოფლიო თეატრისთვის გაწეული ფასდაუდებელი შემოქმედებითი საქმიანობისთვის მიენიჭა. (რეპორტიორი)

## „როგორც ჩანს, მოსკოვს რეალურად არ სურს პოლიტიკური ურთიერთობების გაუმჯობესება“



დიდ ბრიტანეთში სამუშაო ვიზიტით მყოფი საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი რუსეთსა და აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებას შორის ე.წ ხელშეკრულების გაფორმებას გამოეხმაურა.

პრემიერი მომხდარს გმობს და აცხადებს, რომ ე.წ ხელშეკრულება მისთვის ძალიან შემაშფოთებელია.

„ეს არის ძალიან სამწუხარო ფაქტი. მოსკოვის მხრიდან კიდევ ერთხელ მოხდა დემონსტრირება, რომ მათ, როგორც ჩანს, რეალურად არ სურთ პოლიტიკური ურთიერთობების გაუმჯობესება. რაც შეეხება ეკონომიკურ ურთიერთობებს, ეს არის ცალკე საკითხი. ჩვენ ეკონომიკურ ურთიერთობებს არ ეხებით“, – განაცხადა პრემიერმა. (რეპორტიორი)

## პარლამენტში ვახტანგ ხმალაძე და ეკა ბესელია წაკამათდნენ



პარლამენტის ბიუროს სხდომაზე საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატები ვახტანგ ხმალაძე და ეკა ბესელია წაკამათდნენ. ბიუროს წევრებს შორის კამათის საგანი ფარულ მოსმენებთან დაკავშირებულ საკანონმდებლო პაკეტებზე წამყვანი და სავალდებულო კომიტეტების განსაზღვრის საკითხი გახდა. ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრები გამოვიდნენ ინიციატივით, საკანონმდებლო პაკეტზე წამყვან კომიტეტად ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის განსაზღვრის თაობაზე. მათი შეთავაზება იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ვახტანგ ხმალაძემ არ გაიზიარა, მან განაცხადა, რომ წამყვან კომიტეტად კვლავ იურიდიულ საკითხთა კომიტეტი უნდა დარჩენილიყო, „რომლის წევრებიც საკითხში საკმაოდ ღრმად არიან გარკვეულნი“.

ხმალაძის ეს ფრაზა ეკა ბესელიას არ მოეწონა: „საკითხი მაშინაც და ახლაც ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროს ეხებოდა“, – აღნიშნა ბესელიამ. პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილებით, ორივე პროექტზე წამყვანი კომიტეტი ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი იქნება. (kvira.ge)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge




# ვინ და რატომ მოითხოვს სააკაშვილის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკის დახურვას?

**რას ცვლის თავის გეგმებში „თავისუფალი თაობა“? რატომ ანებებენ თავს „ნაცმოძრაობის“ ოფისს და რა არის მათი ახალი სამიზნე? რა ინფორმაციები ჟონავს საპარლამენტო კულუარებიდან?**

**„ალიას“ თავისუფალი თაობის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, ლადო სადღობელაშვილი ესაუბრა:**

**— ლადო, პირად საუბარში მითხარით, „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისს თავს ვანებებთ და ყურადღებას სხვა მიმართულებით გადავიტანთო. რას აპირებთ?**

– როცა 23 ნოემბერს აქცია ჩავატარეთ რევოლუციის მე-11 წლისთავზე, დავფიქრდით, რომ ეს აქცია კარგია, მაგრამ რატომ უნდა არსებობდეს ქუჩა, შენობა, ბინა კრიმინალის სახელობის? საუბარია სააკაშვილის სახელობის ბიბლიოთეკაზე. როცა საზოგადო მოღვაწე აარსებს ბიბლიოთეკას, ეს გასაგებია, მაგრამ კრიმინალის დაარსებული არაფერი გვინდა. როცა შენ ქვეყნისთვის არაფერი კარგი არ გაგიკეთებია, დააქციე ქვეყანა და ხალხი ჩახოცე, რატომ უნდა მქონდეს შენი სახელობის შენობა? როგორი შესაგუებელია, ჰიტლერის სახელობის ქუჩა რომ იყოს თბილისში? ან ბერიას ქუჩა რომ იყოს? „ნაციონალების“ ლიდერის, კრიმინალი პრეზიდენტის, დიქტატორის სახელობის ბიბლიოთეკა როგორ ავიტანო, როცა ბიბლიოთეკა ჩემთვის განათლებასთან, სიწმინდესთან ასოცირდება. რომელი სიწმინდის მატარებელი იყო სააკაშვილი? „კაგებეშნიკსა“ და ქვეყნის მოღალატეს რა სიწმინდე უნდა ჰქონდეს, რომ ახალგაზრდა თაობა მას ეზიაროს? როგორც ვიცი, ბევრი სტუდენტი სარგებლობს მისით და ეს სახიფათოა. ერთგვარი იდეოლოგიაა, რომელსაც უნდა ვებრძოლოთ.

**— ახლა რომ გეგმავთ აქციას ამ ბიბლიოთეკასთან, იმ სტუდენტებს რას ერჩით?**

– მე არ ვიცი, რომელი ელექტორატი ჰყავს სააკაშვილს, მე მათი მომხრეები ვნახე, სულ 7 ათასი, რომელთაგან ნაწილი ან ფულით იყო ჩამოსული, ან ხათრით. თბილისელი 200 კაცი თუ იქნებოდა და ისიც ზონის კოორდინატორები იყვნენ. გარდა ამისა, ეს ბიბლიოთეკა არის „ნაციონალების“ ბუდე, იქ ტარდება ყველა სატელიტი არასამთავრობოების შეკრება და პრეზენტაცია. აქვე გეტყვით ინფორმაციას, რომელიც შეიძლება, არც იცოდეთ. იცოდით, რომ ბიბლიოთეკის 80% რუსული წიგნია? დიდად რომ მოაქვთ თავი დასავლური და ევროპული ღირებულებებით, შევიდეს ვისაც უნდა და ნახავს, რა ლიტერატურა დევს იქ. ძირითადად კომუნისტური ლიტერატურაა. ეს „ნაციონალები“ რეალურად არიან ყველაზე დიდი მოღალატეები და რუსეთის აგენტურის წარმომადგენლები, რომლებიც საქართველოს კისერზე ესხდნენ.

სააკაშვილი გარდაცვლილია თუ დიდი ღვაწლი დასდო საქართველოს? შევარდნაძის ოჯახის წევრებს არ აქვთ მაგის ამბიცია და ეს ვინ არის? ასეთი გიჟია, ჯერ ბუშის ქუჩა დააარსა, ახლა თავისი სახელობის ბიბლიოთეკას გვიხსნის. მაშინ მოხდა ამ ბიბლიოთეკის გახსნა, როცა მერი იყო უგულავა. მეეჭვება, ნორმალური მთავრობის პირობებში ასეთი დაწესებულება გახსნილიყო. რომელი ილია ჭავჭავაძე მყავდა სააკაშვილი? ცოცხალი კრიმინალის სახელობის ბიბლიოთეკა არის ქვეყნის შეურაცხყოფა. ამ თემის წინ წამოწევას ვაპირებთ და სერიოზულ აქციებს მოვაწყობთ.

**— რას მოითხოვთ, მის დაკეტვას?**

– ჩვენ არ ვართ ბიბლიოთეკის წინააღმდეგი, სააკაშვილის სახელობის ბიბლიოთეკის მომხრე არ ვართ. ნაცხროვის თავშეყრის ადგილს ქალაქის შუაგულში ვერ ავიტანთ. იქ ყველა კომფორტულად გრძნობს თავს, ბარნოვიც იქ ზის, გინდ „ნაციონალური“ მოძრაობის ოფისი ყოფილა, გინდ ეგ ბიბლიოთეკა. ზუსტად ასე ვიტყვი - სერგო ორჯონიკიძის სახელობის ბიბლიოთეკა გვაქვს თბილისში და ამას არ ავიტანთ. მოსახლეობას ვეუბნები, რომ ამაზე დიდ ხმაურს ავტეხთ, დიდი წინააღმდეგობები იქნება ქალაქში. ვინ გაგვცემს პასუხს?



**„ნაციონალების“ ლიდერის, კრიმინალი პრეზიდენტის, დიქტატორის სახელობის ბიბლიოთეკა როგორ ავიტანო, როცა ბიბლიოთეკა ჩემთვის განათლებასთან, სიწმინდესთან ასოცირდება. რომელი სიწმინდის მატარებელი იყო სააკაშვილი? „კაგებეშნიკსა“ და ქვეყნის მოღალატეს რა სიწმინდე უნდა ჰქონდეს, რომ ახალგაზრდა თაობა მას ეზიაროს? როგორც ვიცი, ბევრი სტუდენტი სარგებლობს მისით და ეს სახიფათოა. ერთგვარი იდეოლოგიაა, რომელსაც უნდა ვებრძოლოთ“**

მარტო „ნაციონალებიც“ აღარ არის პრობლემა, „რესპუბლიკელები“ რომ შეკრული არიან „ნაციონალებთან“, ეგ ხომ კარგად ჩანს. 2003 წლიდან ეგენი ერთად არიან. მე გეტყვით ერთ ფაქტს, რომელიც ჩემი თვალით მაქვს ნანახი და რომელსაც ახლა თქვენთან ვიტყვი. მე პირადად ვიცი, რომ დავით უსუფაშვილი კაკო ბობოხიძეს ამ ზაფხულს და მის მერეც ხშირად სტუმრობდა. ერთად სკდებოდნენ იმერული ღვინით. „რესპუბლიკელ“ პარლამენტარებს ხშირად აქვთ ასეთი ერთობა „ნაციონალებთან“, მე ისიც ვიცი, რომ პირდაპირ სესიების მერე მიდიოდნენ ერთად საქეიფოდ. ოჯახური შეხმატკბილებული ურთიერთობა არის სახეზე. მე მაქვს ინფორმაცია, რომ მალე „რესპუბლიკელების“ ფრთა არჩევნების მიჯნაზე გამოეყოფა კოალიციას. თავად პრემიერსაც არ აწყობს ძლიერი ერთობის შემადგენელ ნაწილად 3%-იანი პარტია. მაგრამ მე არ ვგულისხმობ 2016 წლის არჩევნებს.

**— აბა, როდის დაიშლებიან?**

– ჩემი ინფორმაციით, 2015 წლის შემოდგომაზე აპირებენ რიგგარეშე არჩევნებს. აქ „ქართული ოცნება“ დაიწმინდება მსგავსი ნაგვებისგან, ისევ იმუშავებს ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი და ,,ქართული ოცნება“ მოვა ისევ ხელისუფლებაში. „ოცნებას“ აუცილებლად სჭირდება ახალი სისხლი, თორემ გამარგინალდება. ალასანიას კი თუ ერთი ნატამალი ჭკუა აქვს, არ უნდა იქონიოს ურთიერთობა „ნაციონალებთან“. უნდა დამთავრდეს, ბოლოს და ბოლოს, ეს კოჰაბიტაცია, ეს კი მაშინ დასრულდება, როცა „რესპუბლიკელები“ წავლენ კოალიციიდან. რესპუბლიკელები წავლენ და სიტუაცია დალაგდება. ამას მოჰყვება სწორედ რიგგარეშე არჩევნები. კულუარული ინფორმაციით, ეს გარდაუვალია. ეს „რესპუბლიკელები“ კიდევ ბევრჯერ არევენ სიტუაციას. მაგალითად, 25 ნოემბერს დაგეგმილია არასამთავრობოების მიერ ძალადობის შესაჩერებელი აქცია. რეალურად ეს არის „ნაციონალების“ და „რესპუბლიკელების“ აქცია.

**— „ქალთა მიმართ ძალადობას პოლიტიკასთან რა კავშირი აქვს?**

– გარწმუნებთ, ეს არასამთავრობოები, სახელი აქვთ სხვადასხვა, თორემ ერთმანეთში აზელილები არიან და მათ მართავენ „ნაციონალები“ და „რესპუბლიკები“. 15 ნოემბრის აქციასაც ჰქონდა კარგი ლოზუნგი, მაგრამ ყველამ კარგად ვიცოდით, რის გარშემოც იყო აქცია, ახლაც ასეა, აქ სხვა ნაღმი დევს.

**— რა ნაღმზე საუბრობთ?**

– იმაზე, რომ გრანტებზე პროექტებია დაწერილი ამ თემაზე და ელოდებიან 25 ნოემბრის აქციას. ამათ უნდათ, წარმოჩინდნენ დიდ მამულიშვილებად, ძალადობის მოწინააღმდეგეებად, სინამდვილეში კი პროექტების შეტანა, გრანტების მოპოვება და გაზულუქება უნდათ. ამას გარდა, აქ მეორე ნაღმიც დევს. „ნაციონალებს“ რომ ჰკითხო, შსს სუსტი უწყებაა და ძალადობის ფაქტებმა იმატა, ამ აქციით კი ამის დემონსტრირება უნდათ. რეალურად, ეს აქცია არის შსს-ს წინააღმდეგ მიმართული.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ზოგიერთი დასახელების სიგარეტზე ფასმა 20-დან 40 თეთრამდე მოიმატა



ზოგიერთი დასახელების სიგარეტზე ფასმა მანამდე მოიმატა, სანამ თამბაქოს ნაწარმზე აქციზის გადასახადი გაძვირდებოდა. ფასის ზრდა შეეხო „მარლბოროს“, „ელემის“, „ესეს“, „ბონდს“ და „ომეგას“ ქსელის სხვა სიგარეტებს.

კერძოდ, სავაჭრო ობიექტებზე განმარტავენ, რომ „მარლბორო“ – 30 თეთრით, „ელემი“ კი 40 თეთრით გაძვირდა, მთლიანობაში კი ფასმა 20-დან 40 თეთრამდე მოიმატა. სხვა დასახელების სიგარეტები, ჯერჯერობით, არ გაძვირებულა.

შეგახსენებთ, პირველი იანვრიდან თამბაქოს ნაწარმზე აქციზის განაკვეთი, ფილტრიან სიგარეტზე – 15 თეთრით, ხოლო უფილტრო სიგარეტზე 5 თეთრით იზრდება, რაც პროდუქციის გაძვირებას ისევ გამოიწვევს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პუტინმა და ხაჯიმბამ ე.წ. სტრატეგიული მოკავშირეობის დოკუმენტს მოაწერეს ხელი



ვლადიმერ პუტინმა და აფხაზეთის ე.წ პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ სოჭში რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთს შორის სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი.

პუტინის განცხადებით, რუსულ-აფხაზური ურთიერთობები წარმატებულად ვითარდება და ამისთვის კარგი ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზაა შექმნილი.

„ამასთანავე, ჩვენი ექსპერტები და პარლამენტის წევრები მივიდნენ დასკვნამდე, რომ აუცილებელია დამატებითი აქტების მიღებაც, რომ გაუმჯობესდეს ეკონომიკური ურთიერთობები, უზრუნველვყოთ აფხაზეთის უსაფრთხოება და გადავწყვიტოთ მთავარი ამოცანა – გავაუმჯობესოთ ადამიანების ცხოვრების დონე“. – განაცხადა პუტინმა.

აფხაზეთის ე.წ. მეთაურმა აღნიშნა, რომ მისი ქვეყანა დიდი ხნის განმავლობაში განიცდიდა მრავალ სირთულეს, დღეს კი ხელშეკრულების გაფორმებით ქვეყანა ახალ ფაზაში გადადის.

„ჩვენ უეჭველად გავზრდით იმ შესაძლებლობებს, რაც ადრე იყო წარმოდგენილი როგორც უსაფრთხოებაში, ასევე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხებთან დაკავშირებით. ჩვენ ვიმედოვნებთ რომ ეს ურთიერთობები განვითარდება და დახმარება რომელსაც ჩვენს ქვეყანას აღმოუჩენენ, იქნება რეალურად სასარგებლო ჩვენი ქვეყნისთვის“. – აღნიშნა ხაჯიმბამ. მისი თქმით, რუსეთის მხრიდან დახმარების მოცულობის გაზრდა აფხაზეთს საშუალებას მისცემს, არა მხოლოდ სოციალური ამოცანები გადაწყვიტოს, არამედ ეკონომიკაც განავითაროს. (ნიუპოსტი)



# რატომ დაეცა ლარის კურსი და რა ელის მას?

ლარის კურსი დოლართან მიმართებაში ისევ დაეცა. ვალუტის გადამცვლელ ჯიხურებში 1 დოლარი 1.80 ლარად იცვლება, ხოლო შესაძენი ფასი 1.835 ლარია. ბოლოს გაცვლითი კურსი ეროვნულმა ბანკმა პარასკევს დაადგინა. ანალიტიკოსების შეფასებით, თუ ეროვნულ ვალუტასთან მიმართებაში პოლიტიკა არ შეიცვლება, არსებული მდგომარეობა საახალწლოდ პროდუქტების ფასებზე მატებას გამოიწვევს.

**რამ გამოიწვია ლარის კურსის ვარდნა? რა გავლენას მოახდენს საახალწლოდ პროდუქტების ფასების ზრდაზე არსებული სიტუაცია?**

**„ალიას“ ეროვნული ბანკის ექსპრეზიდენტი, რომან გოცირიძე ესაუბრა:**

**— რამ გამოიწვია ლარის კურსის ვარდნა?**

– ზუსტი მიზეზის თქმა ნაადრევია, ჯერ დავაკვირდებით ტენდენციას. ჯერ უნდა გავაანალიზოთ ყველა ფაქტორი, რამ გამოიწვია არსებული სიტუაცია.

პირველ რიგში, თუ დავაკვირდებით ეროვნული ბანკის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, ფულის მასის ყველა კომპონენტი არის წესრიგში. „ეროვნული ბანკი“ იყენებს ასეთ ტერმინს, სარეზერვო ფონდი, მაგრამ არ შეგვეშალოს ეს არ არის უცხოური ვალუტის რეზერვები, რომლის მოცულობის კონტროლიც ეროვნულ ბანკს შეუძლია თავისი ბერკეტებით. არც სარეზერვო ფულია გაზრდილი. ეს ყველაფერი ნიშნავს იმას, რომ არ არის პრობლემა მოთხოვნაში, არამედ პრობლემაა ვალუტის მიწოდებაში. ანუ ბაზარზე, ამ მოკლევადიან პერიოდში იგრძნობა უცხოური ვალუტის დეფიციტი, მაგრამ ეს რაიმე ტენდენციის გამომხატველია, თუ მოკლევადიანი მოვლენაა, მოკლე ხანში გამოჩნდება.

**— რა შეგიძლიათ გვითხრათ მიზეზებზე, რით ხსნით არსებულ სიტუაციას?**

– ზოგადად, როცა უცხოური ვალუტის შემოდინება კლებულობს, ეს არის პრობლემა სავაჭრო ბალანსში, ანუ ჩვენ ვამბობთ, რომ ექსპორტი იზრდება წინა წელთან შედარებით, გამოდის, რომ გარკვეული გაუარესება არის საგადამხდელო ბალანსში. ძალიან მნიშვნელოვანია ასევე შემდეგი ფაქტორი – უცხოური ტრანსფერი. 8.6 მილიონით ნაკლები იყო ამ თვეში, ჩვენ ამ დროისთვის არ გვაქვს ზუსტი სტატისტიკა, რა ვითარებაა უცხოური ინვესტიციების კუთხით, მაგრამ, როგორც ჩანს, უცხოურ ინვესტიციებშიც არის პრობლემა. უცხოური ვალუტა, რომელიც უნდა მიელო საქართველოს მთავრობას საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, რითაც უნდა დაფინანსებულიყო შემდეგ ინფრასტრუქტურული პროექტები, ამ პროექტების შეფერხების გამო, ეს თანხები არ არის მთლიანად და დროულად ჩარიცხული. საბოლოო ჯამში, ფაქტორი, შესაძლოა იყოს ძალიან ბევრი.

**— რამე საფრთხეებს შეიცავს არსებული სიტუაცია?**

– დღეს, ბიუჯეტიდან დახარჯულია 7.4 მილიარდი ლარი თითქმის 11 თვის განმავლობაში. დარჩენილ პერიოდში უნდა დაიხარჯოს 1.7 მილიარდი. ანუ, არა იმ ზომით, როგორც შარშან იყო, მაგრამ გრძელდება საბიუჯეტო ხარჯების თვეში არათანაბარზომიერად ათვისება. რაც არ არის კარგი. თუმცა წელს ბიუჯეტში, საშემოსავლო ნაწილში, იმ რაოდენობის გარღვევა, რაც შარშან მოხდა, არ არის მოსალოდნელი.

**— ლარის კურსის ვარდნა, საახალწლოდ ფასებზე, პროდუქტებზე როგორ აისახება?**

– ჯერჯერობით, რამდენიმედღიანი დევალვაცია გვაქვს სახეზე, ეროვნული ბანკის მთავარი ამოცანაა, რომ არ მოხდეს ფასების ზრდა



და ინფლაცია. თუმცა, ამავდროულად ვიტყვი, რომ ეროვნული ბანკი არ არის თავისი შინაარსით მოწოდებული, იზრუნოს ეკონომიკურ ზრდაზე, დასაქმებაზე, ან, როგორ უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს, ვალუტის კურსის ფიქსაციაზე. ვალუტის კურსი, როგორც წესი, ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას ასახავს. ბანკი დღეს თავისუფალი, მცურავი კურსის რეჟიმით მუშაობს და მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაერევა, თუ მკვეთრი რყევა მოხდება, ხოლო მკვეთრი რყევა შეიძლება მოხდეს, როგორც საგარეო ფაქტორით, ასევე სეზონურობით.

**— მერე, ეს პოლიტიკა სწორია?**

– არსებულ სიტუაციაში, ეს პოლიტიკა არის სწორი, მაგრამ კანონით, ეროვნული ბანკის ნომერ პირველი ამოცანა უნდა იყოს ლარის სტაბილურობა და ამის მისაღწევად, მათ აქვთ სხვადასხვა ბერკეტები და თუ ისეთი სიტუაცია შეიქმნება, რომ კურსის ვარდნის შეჩერება გახდა აუცილებელი, საამისო ბერკეტებიც აქვთ.

**— რა ბერკეტია ეს?**

– ეს შეიძლება იყოს უცხოური ვალუტა. ეროვნულ ბანკს შეუძლია გამოიტანოს უცხოური ვალუტა და ამით მოახდინოს ლარის სტაბილიზაცია, მაგრამ ამის საჭიროებას გვაჩვენებს მომავალი პროცესები. მთავარია, არ მოხდეს ბიუჯეტიდან ხარჯების ზრდა, რათა არ დამძიმდეს ფონი. ეროვნული ბანკი ფულს მართავს, სწორად აკონტროლებს, პრობლემა, ისევ ვიმეორებ, უცხოური ვალუტის შემოდინებაა, ქვეყნის ეკონომიკური მიმზიდველობის დაკარგვა და ა.შ.

**— რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს არსებული მდგომარეობა?**

– თუ შარშანდელ ვითარებას დავაკვირდებით, მაშინაც იყო დევალვაცია ნოემბრიდან მარტის თვემდე, თუმცა მარტიდან საპირისპირო პროცესები დაიწყო. შარშანდელი სცენარი არ უნდა განმეორდეს. იმედია, პროცესები შედარებით მოკლევადიანი იქნება.

დიანა ლიპარტელიანი
571 80 40 80

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „9 თვის განმავლობაში 5,9-პროცენტიანი ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა“




ფინანსთა მინისტრის მოადგილის გიორგი კაკაურიძის ინფორმაციით, გასული 9 თვის განმავლობაში ქვეყანაში 5,9-პროცენტიანი ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა.

„არსებული ტენდენციების გათვალისწინებით, ვფიქრობთ, რომ წლიური ეკონომიკური ზრდა 5%-ზე მაღალი იქნება, რაც აისახება როგორც საგადასახადო შემოსავლებში, ისე მთლიანად, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელზე. რაც შეეხება დამატებული ღირებულების გადამხდელ საწარმოთა ბრუნვებს, ამ კუთხითაც მნიშვნელოვანი ზრდაა დაფიქსირებული. გამოვყოფ სოფლის მეურნეობას, სადაც ზრდა იყო 30%-ზე მეტი და მშენებლობა, სადაც დამატებული ღირებულების გადამხდელ საწარმოთა ბრუნვების ზრდა 30,5% იყო. გასულ წელს მშენებლობის სექტორში კლება დაფიქსირდა. წელს ამ სექტორში 2 მილიარდ 600 მილიონი ლარის ბრუნვა დაფიქსირდა. რაც შეეხება მთლიანად კერძო სექტორს, აქ დაახლოებით 36%-იანი ზრდაა დაფიქსირებული“, – განაცხადა კაკაურიძემ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## წულუკიანი ე.წ. გასაღებზე ბესელია-სესიაშვილი-ფოფხაძის პროექტს ემხრობა



იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი ე.წ. გასაღებთან დაკავშირებით ბესელია-სესიაშვილი-ფოფხაძის მიერ შემუშავებულ პროექტს ემხრობა.

„მთავარია, შინაგან საქმეთა სამინისტრო არ იყოს ერთადერთი უწყება, რომელსაც ხელთ უპყრია ე.წ. გასაღები. ჩემი აზრით, უნდა არსებობდეს სხვა ორგანოც, რომელიც იქნება დამცავი მექანიზმის ფუნქციის. ასეთი დამცავი მექანიზმის ფუნქცია ძალიან თავისუფლად შეიძლება შეასრულოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმაც“, – განაცხადა წულუკიანმა. (ნიუპოსტი)

## უეფა-ს სუპერთასის თბილისში ჩატარებასთან დაკავშირებით ხელშეკრულებები გაფორმდა




თბილისში, 2015 წლის 11 აგვისტოს, უეფა-ს სუპერთასის ჩატარებასთან დაკავშირებით, ხელშეკრულებები გაფორმდა, რომლის თანახმად, ხელმომწერი მხარეები იღებენ ვალდებულებას, თბილისში, 2015 წელს ჩემპიონთა ლიგის და ევროპა ლიგის გამარჯვებულების სუპერთასი-2015 თბილისის მატჩის ორგანიზების შესახებ.

„2015 წლის უეფა-ს სუპერთასის ორგანიზების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ სამმხრივ ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს თბილისის მერმა დავით ნარმანიამ, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ და ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამო არენას“ ხელმძღვანელმა ნიკა ჟღარკავამ.

ნარმანიას განცხადებით, თბილისის მერია ყველაფერს აკეთებს ჩემპიონატის უეფა-ს სტანდარტებით ჩასატარებლად. მისი თქმით, თბილისის ბიუჯეტიდან სრულად ფინანსდება და უკვე მიმდინარეობს „დინამოს“ სტადიონის მოწესრიგება და კეთილმოწყობის სამუშაოები. „თანხა უკვე გამოიყო 2014 წლის ბიუჯეტიდან, 10 მილიონ ლარამდეა გათვალისწინებული 2015 წლის ბიუჯეტის პროექტით, აქედან გამომდინარე ყველა აღებული ვალდებულება პირნათლად შესრულდება“. – აღნიშნა ნარმანიამ. (ნიუპოსტი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



**რატომ ვერ ქმნიან „რესპუბლიკელები“, ალასანიას პარტია და „ნაციონალები“ კოალიციას? რამდენს და რაში ხარჯავს ხუთ მილიონს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია?**

**„ალიას“ ელიზბარ ჯაველიძე ესაუბრა:**

**— გავრცელდა ინფორმაცია, რომ „ნაციონალებიდან“ გიორგი ვაშაძე, ნიკა მელია და ნიკოლოზ რურუა ალასანიას პარტიაში აპირებენ გადასვლას?**

– ძალიანაც კარგი, თუ ალასანიას პარტიას მიუერთდებიან, ამ შემთხვევაში ეს პარტია ძალიან მალე ჩაიძირება. ყოველ შემთხვევაში, ქართული ცნობიერებით ესეა, რაც არ უნდა მაგათ ქვიშით იხეხონ, არაფერი გამოუვათ, ხომ იცით ქართული ნათქვამი, „არ გათეთრდების ყორანიო“? ეგენი სადაც არ უნდა გადაბარგდნენ, ვინც თქვენ ჩამოთვალეთ, ეგენი არიან „ნაციონალების“ გამოჩეკილები და მათი სახე არასდროს შეიცვლება, ყოველ შემთხვევაში ხალხის დამოკიდებულება მათ მიმართ იქნება ყოველთვის ერთი და იგივე, დანარჩენი იქ, დასავლეთი რას იზამს და როგორ იზამს, ამას ჩვენ თვითონვე უნდა გავცეთ პასუხი. ისე, დროა, ჩვენმა ქვეყანამ დამოუკიდებლობის გარკვეულ ზღვარს მიაღწიოს, რადგანაც არ შეიძლება, ყველა გადადგმულ ნაბიჯზე გავიხედოთ ამერიკისკენ და ევროატლანტიკისკენ, არიქა, რას იტყვიან ჩვენზე ჩვენი მეგობრებიო. ის „ჩვენი მეგობრები“ კი გვეუბნებიან, თქვენ მოშორდით და საქართველო კი უნდა გადაგვარდესო, თქვენი ქვეყანა უნდა აღიგავოს პირისაგან მიწისაო. მაგათ საერთოდ პლანეტარული იმპერიის შექმნა უნდათ, ერთპოლუსიანი სახელმწიფოს შექმნა და ასეთი იმპერიის შექმნის გზაზე არა მარტო მცირე ერებს, დიდ ერებსაც უპირისპირდებიან, განსაკუთრებით კი ჩვენ გვმტრობენ ჩვენი რწმენისა და მართლმადიდებლობის გამო, როგორც ტრადიციულ და კონსერვატორულ ქვეყანას, ესაა, მეტი არაფერი.

**— ბატონო ელიზბარ, მოსმენების კანონზე რომაა ერთი ამბავი ატეხილი, არასამთავრობოები რომ გამოდიან და ამბობენ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს გასაღები არ უნდა დავუტოვოთ...**

– (მაწყვეტინებს) იმიტომ, რომ ესენი არიან აგენტები და მოღალატეები და თავისი ქცევით ებრძვიან პირდაპირ ქართულ სახელმწიფოს,



# „ღარიბაშვილი ორგასაღებიან სისტემას სთავაზობს და მეტი რა ჯანდაბა უნდათ?!“

## „თუ არ ენდობიან, შეიტანონ ცვლილება კანონში, რომ ამ საქმის ინსპექტორი პარლამენტმა დანიშნოს“



„ღარიბაშვილი დღესდღეობით არის წარმომადგენელი ქართული სახელმწიფოსი. მას სურს დღეს მეტ-ნაკლებად, რაც შესაძლებელია, დამოუკიდებელი იყოს საქართველო და ყოველ გადადგმულ ნაბიჯზე არ ელანდება შიში, ვაითუ, სხვა ქვეყანა როგორ შემაფასებს, ამერიკა იქნება თუ დასავლეთი, ამიტომ არის, რომ ირაკლი ღარიბაშვილი, როგორც ქართული საქმისა და ქართველი ხალხის ინტერესების გამომხატველი, დადგა ასეთი დარტყმის ობიექტად...“

ქართულ ცნობიერებას, ქართულ ზნეობას, აბა დააკვირდით, თუ ერთხელ ამოიღეს ხმა ემზარ კვიციანის გამო, ტყუილუბრალოდ რომ არის დაჭერილი და 12 წელი რომ მიუსაჯეს, დააკვირდით, თქვეს ერთი სიტყვა?!. დღეს ეს არასამთავრობოები სისხლს აცლიან. მაგათ აქვთ დევიზი, ჩვენ გამოგვაცალონ წითელი სისხლი და თეთრი სისხლი ჩაგვასხან, ანუ სახელმწიფოს ფუნქცია უნდათ ნულზე დაიყვანონ. მინდა გითხრათ, რომ ფუნქცია ნამდვილად ნულზეა დასული, კოჟორიძე, ლომჯარია და გიგაური რომ დაიწყებენ სასამართლოებში მოსამართლეების დანიშვნას, მარგველაშვილთან რომ შედიან, რომელიც ცნობილი მქსოველია წინდებისა და რალაცებისა და მას რომ ეუბნებიან და მერე პრეზიდენტმა რომ უნდა წარუდგინოს პარლამენტს მოსამართლეები და ეს არის სახელმწიფო?! ეს უწიგნურები და გაუნათლებელი ადამიანები არიან ჩვენი მრჩევლები, „თხა და გიგო“ რომ არა აქვთ წაკითხული? და მაგათ უნდა მართონ სახელმწიფო?! ჩვენს მეზობელ ქვეყნებში, იქნება აზერბაიჯანი, სომხეთი თუ სხვა, იქ არასამთავრობოების ყოველი კაპიკი და მანეთი შემოწმებული და დათვლილია, იქ მაგათ არავინ არ მისცემს მსგავს უფლებას, რასაც ესენი აძლევენ. 5 მილიონი დოლარი რომ მოსდით ახალგაზრდა იურისტების ასოციაციაში, სად ხარჯავენ მაგ ფულს? პირდაპირ სახელმწიფოს წინააღმდეგ, ანუ სახელმწიფოს მოშლის წინააღმდეგ.

**— ღარიბაშვილი გამოვიდა და განაცხადა, რომ ამ ქმედებით ამ ადამიანებს სურთ შინაგან საქმეთა სამინისტროს დასუსტებაო.**

– ზუსტად ეგა აქვთ განსაზღვრული, როცა შინაგან საქმეთა სამინისტრო სუსტდება, ამ შემთხვევაში სახელმწიფო სუსტდება, მერე ესენი აყაყანდებიან რატომ არ იხსნება ესა თუ ის დანაშაულიო. უშიშროება ნებისმიერ ქვეყანაში, გინდ ამერიკა აიღე და გინდ ინგლისი, ყველას ნაბიჯს აკონტროლებენ, ესენი სახელმწიფოს კონტროლს თუ არ ენდობიან, შეიტანონ ცვლილება კანონში, რომ ამ საქმის ინსპექტორი პარლამენტმა დანიშნოს და მან გადაამოწმოს, არ შეიძლება? ღარიბაშვილი ორგასაღებიან სისტემას სთავაზობს და მეტი რა ჯანდაბა უნდათ?! არა, მაგათ უნდათ, რომ ისეთ ხალხს ჩააბარონ ინფორმაცია, ვინც საერთოდ ამასთან რა შუაშია, ვერ გავიგე, ვგულისხმობ მობილურ ოპერატორს და რა შუაშია აქ მობილური ოპერატორი? ჩვენთან ყველა მობილური ოპერატორი უცხო მხარეს ეკუთვნის და რა, მთელი ჩვენი საუბრები, ინფორმაცია, უცხოეთში უნდა გავიდეს? სახელმწიფოებრივი ინფორმაციები უცხოელებს რატომ

*გაგრძელება მე-6 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### ომბუდსმენი ლაფანყურის სპეცოპერაციის ფაქტებს ასაჯაროებს



ომბუდსმენის ინფორმაციით, ლაფანყურის სპეცოპერაციასთან დაკავშირებით ანგარიშს სახალხო დამცველთან არსებული საზოგადოებრივი საბჭო უახლოესი 10 დღის განმავლობაში წარადგენს.

„სახალხო დამცველთან არსებულმა საზოგადოებრივმა საბჭომ აღნიშნული ანგარიშის მოსამზადებლად ერთი წელი იმუშავა. ჩვენ საზოგადოებას დოკუმენტირებულ და გადამოწმებულ ფაქტებს მივაწვდით“, – განაცხადა ნანუაშვილმა, თუმცა არ დაუკონკრეტებია, იკვეთება თუ არა მასალების შესწავლის შედეგად ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნების პასუხისმგებლობის საკითხი. ლაფანყურის ოპერაცია 2012 წლის აგვისტოში ჩატარდა. (ნიუპოსტი)

### ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიორგი ჩოგოვაძე იქნება



ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას გიორგი ჩოგოვაძე უხელმძღვანელებს. ეკონომიკის მინისტრის მოადგილის, დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით:

„ამ ვაკანსიაზე სულ 31 განაცხადი შევიდა. საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების შედეგად შემდეგ ეტაპზე გადავიდა ოთხი კანდიდატი. ამ ოთხ კანდიდატს შორის მოხდა ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ახალი ხელმძღვანელის შერჩევა“, – განაცხადა ქუმსიშვილმა.

გიორგი ჩოგოვაძე სხვადასხვა დროს ბიზნესსექტორში მუშაობდა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

### რუსული ანექსიის შესაჩერებლად სამოქმედო გეგმა „თავისუფალმა დემოკრატებმაც“ შეიმუშავეს



„თავისუფალი დემოკრატები“ რუსეთსა და აფხაზეთს შორის თანამშრომლობის ე.წ. ხელშეკრულების გაფორმებას გმობს. პარტიის ერთ-ერთი ლიდერის მაია ფანჯიკიძის განმარტებით:

„საქართველოს ხელისუფლებამ უნდა მოახდინოს ხელშეკრულების გაფორმებაზე ოფიციალური რეაგირება უმაღლეს დონეზე. მიგვაჩნია, რომ ასეთ ვითარებაში მხოლოდ საგარეო უწყების განცხადება საკმარისი არ არის. უნდა განხორციელდეს პირდაპირი კონტაქტები საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და პრეზიდენტის პარტნიორი ქვეყნების სახელმწიფოს მეთაურებთან და მთავრობის ხელმძღვანელებთან. საერთაშორისო ორგანიზაციებში, გაეროში, ეუთოში და ევროკავშირში უნდა იქნას მოთხოვნილი საგანგებო სხდომების მოწვევა. მიზანშეწონილია ამ საკითხის დაყენება გაერო-ს უშიშროების საბჭოზე, ეუთო-ს გაძლიერებული მუდმივი საბჭოსა და დეკემბრის მინისტერიალზე. დაუყოვნებლივ დაიწყოს კონსულტაციები ევროკავშირთან, სამხრეთ კავკასიაში მის სპეციალურ წარმომადგენელთან და ჟენევის პროცესის ყველა თანათავმჯდომარესთან პლენარული ან საგანგებო სხდომის მოწვევის მოთხოვნით. პარლამენტმა უნდა გააქტიუროს ქმედებები პარტნიორი ქვეყნების საპარლამენტო ჯგუფებთან, რათა მოხდეს ამ ფაქტის ადეკვატური შეფასება შესაბამისი რეზოლუციის მიღების გზით. ხელისუფლებამ უნდა გაააქტიუროს საქმიანობა საერთაშორისო მედიასთან, საერთაშორისო აზრის ფორმირების მიზნით. ხელისუფლებამ უნდა დაიწყოს მზადება რუსეთთან ორმხრივ ფორმატში პოლიტიკური ურთიერთობის გადახედვასთან დაკავშირებით“, – განაცხადა ფანჯიკიძემ. (ნიუპოსტი)

*მეხუთე გვერდიდან*

*მეხუთე გვერდიდან*

უნდა ვაჩუქოთ?

— **ხომ ხედავთ, ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ ერთიანდებიან „რესპუბლიკელები“, იგივე ალასანია და „ნაციონალები“...**

– ესენი ერთად უკვე არიან შეკრულები, ღარიბაშვილი დღესდღეობით არის წარმომადგენელი ქართული სახელმწიფოსი. მას სურს დღეს მეტ-ნაკლებად რაც შესაძლებელია, დამოუკიდებელი იყოს საქართველო და ყოველ გადადგმულ ნაბიჯზე არ ელანდება შიში, ვაითუ, სხვა ქვეყანა როგორ შემაფასებს, ამერიკა იქნება თუ დასავლეთი, ამიტომ არის, რომ ირაკლი ღარიბაშვილი, როგორც ქართული საქმისა და ქართველი ხალხის ინტერესების გამომხატველი, დადგა ასეთი დარტყმის ობიექტად, ყველა უტევს ირაკლის, არ შეგეშალოთ, ღარიბაშვილზე ვამბობ, ალასანიაზე კი არა, ღარიბაშვილზე ვლაპარაკობ, ალასანიას ჭირი და სიკვდილი.

— **თქვენ ეხლა ალასანია ახსენეთ და მიიღებს იმ რურუებსა და ვაშაძეებს თავის პარტიაში? ხომ თქვა, „ნაციონალებთან“ არ ვითანამშრომლებო?**

– ალასანია ყველას მიიღებს, მაგაზე არ ინერვიულო. ალასანია მიშასაც მიიღებს, თუ ჩამოვიდა, ბოკერიასაც სიხარულით მიიღებს და ეს არის გადაადგილება, მეტი არაფერი, შესაკრებთა გადანაცვლებით, ჯამი არ იცვლება. ფერიცვალება ხომ იცით, რას ნიშნავს? ოღონდ არაქრისტიანულ ფერიცვალებას ვგულისხმობ, ეგენი ფერს იცვლიან ყოველდღე, როგორც ხვლიკები და ქვეწარმავლები. იმისდა მიხედვით, სად უკეთესად იქნებიან.

— **ბატონო ელიზბარ, ჩვენში რომ ვთქვათ, „ოცნებაც“ ცუდად იქცევა...**

– რას გულისხმობთ?

— **ვგულისხმობ ტყემალაძის გამოთქმას, მილიონერი კაცი აქეთ რომ გვარიგებს ჭკუას, 160 ლარი იკმარეთო. მინდა გითხრათ, რომ ხალხი ამით ძალიან გაღიზიანდა.**

– თქვენ სიტყვაზე ეკიდებით... ხომ იცით, „მიზეზ-მიზეზ, დოს მარილი აკლიაო“... წამოსცდა კაცს.

— **თქვენ გგონიათ, რომ ტყემალაძეს ეს სიტყვები წამოსცდა?**

– 160 ლარი კი არ უნდა იმყოფინოს კაცმა, უფრო მეტი უნდა იმყოფინოს, მაგრამ რომ არ არის შესაძლებლობა, რა ქნას ამ სახელმწიფომ.

— **კი მაგრამ, იმხელა პრემიებს რომ იღებენ თავისთვის, ეს არაფერი? გარდა ამისა, ასეთი დავარცხნილ პოლიტიკას რომ აწარმოებენ, არ ეშინიათ, რომ ხალხი ერთხელ დაიძვრება და მაგათ გადაუვლის...**

– „ოცნებას“ არ ეშინია იმიტომ, რომ მოდით, უმადურები ნუ ვიქნებით, დღეს რომ საყვედურებს ამბობენ ივანიშვილის მიმართ, ჩემთვის მიუღებელია, იმიტომ, რომ ამ კაცმა შეძლო ყველაფერი და ეს შავი ჭირი მოგვაშორა. ეს არის სიმართლე!



**„ალასანია ყველას მიიღებს, მაგაზე არ ინერვიულო. ალასანია მიშასაც მიიღებს, თუ ჩამოვიდა, ბოკერიასაც სიხარულით მიიღებს და ეს არის გადაადგილება, მეტი არაფერი, შესაკრებთა გადანაცვლებით, ჯამი არ იცვლება. ფერიცვალება ხომ იცით, რას ნიშნავს? ოღონდ არაქრისტიანულ ფერიცვალებას ვგულისხმობ, ეგენი ფერს იცვლიან ყოველდღე, როგორც ხვლიკები და ქვეწარმავლები. იმისდა მიხედვით, სად უკეთესად იქნებიან“**

— **კი მაგრამ, მერე ხომ უნდა გაკეთებულიყო ხალხისთვის კიდევ რამე?**

– კი უნდა გაკეთებულიყო, მაგრამ ბიძინა ივანიშვილსაც, რასაც უყურებთ, ყველა მხრიდან აწვებიან, იქით დასავლეთიდან, აქეთ აღმოსავლეთიდან, ყოველ მხრიდან შეტევა მიიღო და ეს შეტევა იმაში გამოიხატა, რომ თურმე როგორ შეიძლება ასეთი დემოკრატის დაჭერა, როგორიც არის მიშა სააკაშვილი (ხმას უწევს)... ისე აშენდა ყველა მაგათი ოჯახი, როგორიც მიხეილ სააკაშვილია დემოკრატი. თვითონ მიშას ცუდად აქვს საქმე, გრძნობს, რომ ხელიდან ეცლებიან „ნაციონალები“, საკმაოდ ცუდ დღეშია. ცოტა ხანში მიშას თეთრი ხალათით გაკოჭილს ვნახავთ, მაგრამ ესენიც მიყვებიან სათითაოდ.



**„ბიძინა ივანიშვილსაც, რასაც უყურებთ, ყველა მხრიდან აწვებიან, იქით დასავლეთიდან, აქეთ აღმოსავლეთიდან, ყოველ მხრიდან შეტევა მიიღო და ეს შეტევა იმაში გამოიხატა, რომ თურმე როგორ შეიძლება ასეთი დემოკრატის დაჭერა, როგორიც არის მიშა სააკაშვილი... ისე აშენდა ყველა მაგათი ოჯახი, როგორიც მიხეილ სააკაშვილია დემოკრატი. თვითონ მიშას ცუდად აქვს საქმე, გრძნობს, რომ ხელიდან ეცლებიან „ნაციონალები“, საკმაოდ ცუდ დღეშია. ცოტა ხანში მიშას თეთრი ხალათით გაკოჭილს ვნახავთ, მაგრამ ესენიც მიჰყვებიან სათითაოდ“**

— **ჩვენ ვაკვირდებით, რომ ირაკლი ღარიბაშვილს ჩასაფრებული ჰყავს აქედან „რესპუბლიკელები“, იქიდან „ნაციონალები“ და ალასანიას პარტია, არავინ არ არის იმის მთქმელი, რომ „არ გაბედოთო“, ამას არავინ ამბობს.**

– აი, მაგაზე კი პასუხს გეტყვით, რომ ქართველი ხალხი გამოვალთ და ვიტყვით! ამას წინათ, რუსთაველის თეატრში გამოვიდა „ლაზარე“ და თქვა, ვინც ეროვნული ადამიანი იყო, და ვისაც გონება უჭრის და ვინც აზროვნებდა, ყველა იქ იყო და ყველამ თქვა ერთი რამ, ჩვენ ვდგავართ აქ და თუ საჭიროა, სიტყვას ვიტყვით და არათუ ეს შენობა, არამედ შეგვიძლია, ნახევარი საქართველო ჩამოვიყვანოთ. ისე კი არა, მაგათ რომ ფული გადაუხადეს და ფულით რომ შეაგროვეს ძლივს, ჩვენთან ხალხი ჩამოვა სურვილით და მინდა გითხრათ, რომ ხალხი იტყვის ამას ჩვენთან ერთად, მაგიტომაა, რომ ვერ აკეთებენ იმას, რაც გულში აქვთ ჩადებული და რაც სწადიათ, თორემ აქამდე ეგენი ცალკე კოალიციას შექმნიდნენ.

— **ისე, ბატონო ელიზბარ, 45 წლის ნოემბერში რომ მოეწყო ნიურნბერგის პროცესი, ერთი მასეთი პროცესი რომ აქაც ჩაგვეტარებინა „ნაცებისთვის“, აქამდე სამუდამოდ დავამთავრებდით და ვერც ერთი ხელისუფლება ვერ გაბედავდა ძალადობას.**

– ნამდვილად სამუდამოდ დამთავრდებოდა ყველაფერი და უნდა მოგვეწყო, მაგრამ ეს კოჰაბიტაცია მოგვახვიეს თავს! ალასანია იყო ის კაცი, ვინც პირველი გამოვიდა და რაც სააკაშვილმა დააფუძნა, იმ ფუნდამენტზე უნდა ავაშენოთ შენობაო, ეგ იყო მაგის პირველი მოწოდება. არადა, მაშინ როგორი შემძვრალები იყვნენ სოროებში?..

**ამის შემდეგ გადავწყვიტეთ დავკავშირებოდით ალასანიას პარტიის წარმომადგენლებს, გვაინტერესებდა, ნამდვილად აპირებენ თუ არა თავისი პარტიის რიგებში მიიღონ ზემოჩამოთვლილი „ნაციონალები“. სამწუხაროდ, გია ცაგარეიშვილის, ვიქტორ დოლიძის ტელეფონები გამორთული დაგვხვდა, მესიჯი მივწერეთ ზურაბ აბაშიძეს და მისგან შემდეგი პასუხი მივიღეთ: „საქართველოში არ ვარ. რა თქმა უნდა, ამ ინფორმაციას არ ვადასტურებ“.**

**თამარ ოქრუაშვილი**
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „კაბელების საქმეზე“ გრიფი „საიდუმლო“ არ მოხსნილა



პროკურატურის პრესსამსახურის განცხადებით, თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნების საქმეზე გრიფი „საიდუმლო“ არ მოხსნილა.

პროკურატურა თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნებს სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი 4 102 872 ლარის გაფლანგვას ედავება. ამ ბრალდებით საგამოძიებო ორგანომ 28 ოქტომბერს თავდაცვის სამინისტროს 5 მაღალჩინოსანი დააკავა. (ნიუპოსტი)

## „ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შანსს ვკარგავთ“



„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე რუსეთსა და აფხაზეთს შორის ე.წ. ხელშეკრულების გაფორმებას ეხმაურება.

„საქართველოს ხელისუფლებამ ამ პრობლემის მოსაგვარებლად არც ერთი ნაბიჯი არ გადადგა. მას ამ მიმართულებით არანაირი პოლიტიკა არ აქვს. დღეს საქართველოს ხელისუფლებას შეუძლია გააკეთოს ის, რომ ჩამომწკრივდეს ნატო-ს დროშასთან და გადაიღოს სამახსოვრო ფოტო, თუ ამ ფოტოს გადაღება და საქართველოს გაწევრიანების ილუზორული გეგმა უშველის ამ პრობლემის მოგვარებას. შემიძლია ვთქვა, ყველაზე მძიმე არის ის, რომ ყოველდღიურად ვკარგავთ იმ პრობლემის მოგვარების შანსს, რასაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგება ჰქვია“, – განაცხადა ბურჯანაძემ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

## პრემიერის საგანგებო განცხადება



პრემიერ-მინისტრი რუსეთსა და აფხაზეთს შორის თანამშრომლობის დოკუმენტის გაფორმებას საგანგებო განცხადებით ეხმაურება:

„აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებასთან მოსკოვის მიერ ე.წ. ხელშეკრულების ხელმოწერას საქართველოს მთავრობა ერთმნიშვნელოვნად აფასებს როგორც რუსეთის მიერ მისი ტერიტორიების ფაქტობრივი ანექსიისკენ გადადგმულ ნაბიჯს.

რუსეთის ფედერაციის მიერ განხორციელებული ეს პოლიტიკა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, რუსეთის საერთაშორისო ვალდებულებებს, მათ შორის 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას და უხეშად არღვევს საერთაშორისო სამართლის პრინციპებს. ის სერიოზულ საფრთხეს უქმნის რეგიონისა და ზოგადად ევროპულ უსაფრთხოებას.

მოსკოვის ეს ნაბიჯი იდგმება მაშინ, როდესაც რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები ხშირად გამოხატავენ საქართველოსთან ურთიერთობების ნორმალიზების სურვილს, ხოლო საქართველოს მხრიდან გადაიდგა არაერთი პრაქტიკული ნაბიჯი ორ ქვეყანას შორის დაძაბულობის დეესკალაციის მიზნით. საქართველოს მთავრობა არასდროს იტყვის უარს თავისი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპზე და ამ საკითხში კომპრომისზე წასვლას არ აპირებს. ხოლო საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა ნორმალიზაციის ხარისხს განსაზღვრავს რუსეთის მიერ ამ პრინციპის პატივისცემა.

აღნიშნული ე.წ. ხელშეკრულების არსი ნათელყოფს იმ გამოწვევას, რომელსაც რუსეთის ფედერაცია უქმნის საქართველოს, მათ შორის აფხაზეთის რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის ევროპულ მისწრაფებებს. მიუხედავად ამ გამოწვევისა, საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი უცვლელია, ხოლო ხელისუფლება კვლავაც გააგრძელებს ძალისხმევას, რათა აფხაზეთის რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობას შეუქმნას ევროპული განვითარების პერსპექტივა, რომელიც არაა მიმართული რომელიმე ქვეყნის წინააღმდეგ. საქართველოს მთავრობა ყველაფერს გააკეთებს, რათა რუსეთის აღნიშნული ქმედებების თაობაზე საერთაშორისო თანამეგობრობას მიაწოდოს ამომწურავი ინფორმაცია, ის სრულად გამოიყენებს ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების ფორმატებს, მის ხელთ არსებულ ყველა საერთაშორისო ბერკეტს. ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების მომდევნო რაუნდის ფარგლებში, რომელიც 9-10 დეკემბერს შედგება, საქართველო მწვავედ დასვამს ე.წ. „ხელშეკრულების“ ხელმოწერის საკითხს.

საქართველოს მთავრობა გმობს რუსეთის ფედერაციის მიერ გადადგმულ ამ უკანონო ნაბიჯს და მოუწოდებს საერთაშორისო თანამეგობრობას, სათანადო სამართლებრივი და პოლიტიკური შეფასება მისცეს რუსეთის ამ ქმედებას და შესაბამისი რეაგირება მოახდინოს მასზე“, – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

# შალვა ოგბაიძის პროექტი თბილისში საცობებს მოსპობს

## რა პოზიციას დაიჭერენ მერი ნარმანია და საკრებულო?



**თბილისის საკრებულოს წევრი, შალვა ოგბაიძე, თბილისში საგზაო წესების მოსაწესრიგებლად, საცობების პრობლემის მოსაგვარებლად, პროექტს ამზადებს. ამ იდეის მთავარი არსი ის გახლავთ, რომ ოგბაიძე, არც მეტი, არც ნაკლები, დავით ნარმანიას მერიის ახალი საქალაქო სამსახურის შექმნას სთავაზობს, რომელიც ამ საკითხებს მოაგვარებს. ოგბაიძე მიიჩნევს, რომ მერიის სატრანსპორტო სამსახური ვერ შეძლებს ამ საკითხების მოგვარებს, როგორც არ უნდა მოიწადინონ.**

**უფრო კონკრეტულად, რას სთავაზობს შალვა ოგბაიძე დავით ნარმანიას, თავად მოგვითხრობს:**

**— ბატონო შალვა, თბილისში მოძრაობის უსაფრთხოების დარეგულირებისა და საცობებისგან განტვირთვის კონკრეტულად რა გეგმა გაქვთ?**

– ჯერ უნდა შევაფასოთ, რა მემკვიდრეობა გვერგო, სად ვართ რა უნდა გაკეთდეს შორეულ პერსპექტივაში და რა – გადაუდებლად და საჩქაროდ. მემკვიდრეობით გვერგო ქალაქი ვიწრო ქუჩებით, მოძველებული ავტოპარკით და სხვა პრობლემებით, ეს არის ჩვენი მემკვიდრეობა და ობიექტური მოცემულობა. თუმცა, არის სუბიექტური ფაქტორებიც. ავიღოთ, ერთი კონკრეტული საცობის ანატომია. როდესაც ვაგზლიდან მოდიხარ, სადღაც, არ მისული გმირთა მოედანთან, ცირკის პირდაპირ, აკადემქალაქის ასახვევთან, იწყება უკვე საცობი. ამ საცობის კუდი, ე.წ. გოსკინპრომის მომდებარე ტერიტორიასთან არის, ზოგჯერ სანაპიროზეც კი ჩადის. მარცხენა 2 რიგი იწურება „ძაბრთან“ გმირთა მოედანზე, პანდუსი რომ ადის მაღლა, მაგ ადგილას, მარჯვენა რიგი ამ დროს შეუფერხებლად უნდა მოძრაობდეს გმირთა მოედნისკენ, ე.წ თერთმეტსართულიანი შენობის მიმართულებით. თუმცა, აქაც მუდამ საცობია. ვნახოთ, ახლა რა იწვევს ამ საცობს. აკადემქალაქის ასახვევთან, ზედ შუა გზაზე, მარჯვენა რიგის შუა ნაწილში, არის იმხელა ორმო, რომელსაც მსუბუქი მანქანა ვერ გადაუვლის, მძღოლმა უნდა გააჩეროს და ნელა, ტაატით გადაიაროს ეს ორმო, წინაღმდეგ შემთხვევაში, მანქანას იქ დატოვებს. აი, აქ რომ გაჩერდება ერთი მანქანა და ნელნელა ცდილობს ამ ორმოს გადავლას, უკან ფერხდებიან მანქანები, მერე, კიდევ უკან და აი, ეს ელემენტარული პრობლემა, ერთი ორმო იწვევს იმხელა საცობს, რომლიც, უკვე მოგახსენეთ, ხშირად სანაპიროზეა.

**— მერედა, რა გახდა ამ ერთი ორმოს ამოვსება?**

– ეს ერთი ორმო მაგალითად მოვიყვანე, თორემ ასეულობით ასეთი ორმოა თბილისში და იქნებ, მეტიც. რაც შეეხებ მის ამოვსებას, ამისთვის მერიაში უნდა არსებობდეს სწრაფი რეაგირების ჯგუფი, მან უნდა ამოავსოს ორმო და მორჩა. ასფალტის დასხმაც არ უნდა პირველ ეტაპზე, არსებობს აღდგენის თანამედროვე ტექნოლოგია, ე.წ. ხორკლიან ასფალტს რომ ასხამენ, ერთი ასეთი სპეცმანქანის მოყვანა და 1 საათი სჭირდება ამ პრობლემის მოგვარებას. ასფალტის დაგება უკვე მერე შეიძლება, თუ რეკონსტრუქცია სჭირდება ქუჩას, ერთი წლის მერე გაკეთდეს, მაგრამ ეს ორმო ამოავსე იმ 1 საათში და მოიხსნება ამსიგრძე საცობის პრობლემა, რომელიც დღეში ათასობით მძღოლს უქმნის პრობლემას და ზოგჯერ ავტოსაგზაო შემთხვევებსაც იწვევს.

კაიროს ქუჩაზე 6-7 ასეთი ორმოა, ყოფილი „თბილწყალკანალის“ ჭები და იქაც, მათ გამო, მუდმივი საცობია. ამ პრობლემების მოგვარებაც ასეა შესაძლებელი, სასწრაფოდ უნდა დაახურო ამ ახდილ ჭებს სახურავი და ამით ეს პრობლემაც გადაიჭრება. თუმცა, თუ გნებავთ, ჩაატარეთ ექსპერიმენტი, მე გეტყვით ზუსტად იმ ადგილს, სადაც კაიროს ქუჩაზე არის ეს ახდილი ჭები, დარეკეთ მერიის ცხელ ხაზზე და უთხარით ამის შესახებ. ნახეთ ერთი, რამდენ ხანში მოვა შესაბამისი სამსახური და რამდენ ხანში მოაგვარებს ამ პრობლემას.

**— კაიროს ქუჩის მაცხოვრებლებს ეგ „ექსპერიმენტი“ ათასჯერ ექნებათ ჩატარებული და ის ჭები რადგან ისევ თავახდილია, გამოდის, მერიის შესაბამისმა სამსახურმა ამ ხალხს არც კი მიაქცია ყურადღება.**

– კი, სამწუხაროდ, ასე გამოდის, ეგრეა ლოგიკურად. თუმცა, ახლა მოდით, სხვა პრობლემაზე გადავიდეთ. თბილისში შუქნიშნების 90% ორფერიანია, წითლიდან პირდაპირ მწვანე ინთება. ეს ახალი „ნოუ ჰაუ“ თბილისისა. ტაიმერიანი შუქნიშნები ერთ-ორ ადგილას არის შენარჩუნებული, სხვაგან აღარ არის. ეს შუქნიშნები „ჭკვიანმა შუქნიშნებმა“ შეცვალა. საერთოდ, არ არსებოს ჭკვიანი შუქნიშნები, არსებობენ ჭკვიანი მენეჯერები, რასაც მე ვერ ვხედავ. ვერც დავინახავთ, რადგან ეს სამსახური არ აქვს მერიას ელემენტარულად.

**— ვერ გავიგე, ბატონო შალვა, თქვენ მერიის საქალაქო სატრანსპორტო სამსახურის უფროსს უწუნებთ მენეჯერობას?**

– არა, მერიის სატრანსპორტო სამსახურსა და მის უფროსს არაფერს ვერჩი. შუქნიშნების შესახებ გეტყვით და მერე მაგასაც მოგახსენებთ, ვის ვერჩი. ზოგიერთ ადგილას საღამოხანს ძალიან ჭირს შუქნიშნის აღქმა, ზოგან შუქნიშნები იმდენად მაღლაა, რომ არ ჩანს. მაგალითად, ბუდაპეშტი-კანდელაკი-ნუცუბიძის ქუჩის კვეთაზე, რესპუბლიკური საავადმყოფოდან რომ ადიხარ. უკნიდან თუ არ დაგისიგნალეს, თქვენ ვერ ხვდებით, რომ უნდა დაიძრათ. ეს საკითხიც მოსაგვარებელია, რადგან ისეთ ადგილას უნდა განათავსო შუქნიშანი, რომ მძღოლმა დაინახოს. ანდა, თუ ჭკვიანია ეს შუქნიშანი, მაშინ რატომ დგებიან პატრულის თანამშრომლები, მაგალითად, პეკინის ქუჩაზე და ვაჟა ფშაველაზე შემომავალ ნაკადს არეგულირებენ?

**— გამოდის, არც ისე ჭკვიანები არიან ეგ შუქნიშნები?**

– გამოდის კი არა, ეგრეა. კი, კარგია პატრულის სწრაფი რეაგირება მოძრაობის მოსაწესრიგებლად, კარგია პატრული რომ ირჯება, მაგრამ ისეთი შუქნიშნები და ისეთ ადგილებში უნდა დავაყენოთ, ზოგადად, მოძრაობის გამართული ორგანიზების მოგვარებით, პატრული აღარ გახდეს საჭირო. მოძრაობის ორგანიზაცია მარტო გზა არ არის. ეს არის საშუქნიშნე მეურნეობა, ეს არის დათვლა ნაკადების, ეს არის საგზაო ნიშნები, განათება, ტრანსპორტი, მარშრუტები...

**— ბატონო შალვა, 4 თვე გავიდა უკვე, რაც თბილისს ახალი ხელისუფლება ჰყავს და ტრანსპორტის მოძრაობის დარეგულირებისა და უსაფრთხოების კუთხით, ჯერ არაფერი გაკეთებულა. კონკრეტულად, რას სთავაზობთ მერიის თავკაცებს?**

– კი, 4 თვე შემოგვადნა უკვე. საქალაქო სატრანსპორტო სამსახურები, ჩანასახშიც კი ვერ მოვიძიეთ, ძველი „ტეტეო“-ს დონეზე მუშაობს ეს სამსახური და დავით ნარმანია თავს იტყუებს, თუ ჰგონია, რომ ეს სამსახური ამ პრობლემებს თავს გაართმევს. სასწრაფო რეორგანიზებაა საჭირო ამ სამსახურისა.

**— არაპროფესიონალებით არის დაკომპლექტებული ტრანსპორტის საქალაქო სამსახური?**

– არა, ვერ ვიტყვი, რომ არაპროფესიონალები არიან, მაგრამ კარგი მენეჯერის ხელში, უკეთ მუშაობა შეუ-

*გაგრძელება მე-8 გვერდზე*



> **„ახლა მოდით, სხვა პრობლემაზე გადავიდეთ. თბილისში შუქნიშნების 90% ორფერიანია, წითლიდან პირდაპირ მწვანე ინთება. ეს ახალი „ნოუ ჰაუ“ თბილისისა. ტაიმერიანი შუქნიშნები ერთ-ორ ადგილას არის შენარჩუნებული, სხვაგან აღარ არის. ეს შუქნიშნები „ჭკვიანმა შუქნიშნებმა“ შეცვალა. საერთოდ, არ არსებოს ჭკვიანი შუქნიშნები, არსებობენ ჭკვიანი მენეჯერები, რასაც მე ვერ ვხედავ“**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ქართველი ემიგრანტები მოქალაქეობის შესახებ კანონმდებლობაში ცვლილებებს ითხოვენ




ემიგრანტები საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებენ, შეიცვალოს მუხლი, რომლის მიხედვითაც სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღებისას ავტომატურად უქმდება საქართველოს მოქალაქეობა.

საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველები აღნიშნული ინიციატივით მთავრობას მიმართავენ და მოუწოდებენ, მოხდეს საკანონმდებლო ინიციატივის შემუშავება.

წერილს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი ავრცელებს. ემიგრანტების მიერ მომზადებულ წერილს ხელს აწერენ დიდ ბრიტანეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთში, გერმანიაში, კანადაში, ბელგიაში, იტალიაში, მაროკოში, საბერძნეთში, პოლონეთში, რუსეთში, უკრაინაში, ნიდერლანდებში, არგენტინაში, ავსტრიაში, ეგვიპტეში, თურქეთში, შვეიცარიაში, შვედეთში, ესტონეთსა და პაპუა-ახალ გვინეაში მცხოვრები ქართველები. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ბალტიის ასამბლეის პრეზიდიუმი რუსეთსა და აფხაზეთს შორის ე.წ. ხელშეკრულების გაფორმებას გმობს



ბალტიის ასამბლეის პრეზიდიუმი რუსეთის ფედერაციასა და ოკუპირებულ აფხაზეთს შორის „თანამშრომლობისა და სტრატეგიული პარტნიორობის“ ე.წ. ხელშეკრულების გაფორმების ფაქტს გმობს. ამის შესახებ საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.

„ბალტიის ასამბლეის პრეზიდიუმმა მიიღო განცხადება, რომელშიც გმობს რუსეთის ფედერაციის მიერ შემუშავებულ და თავსმოხვეულ ე.წ. „თანამშრომლობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ხელშეკრულებას“ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონთან აფხაზეთთან. განცხადებაში, ბალტიის ასამბლეა კვლავ ადასტურებს საქართველოს სუვერენიტეტისა და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში მისი ტერიტორიული მთლიანობისადმი პატივისცემას. ბალტიის ასამბლეა ხაზს უსვამს, რომ რუსეთის ქმედებებს მოჰყვება გარდაუვალი შედეგები უსაფრთხოებისა და სტაბილურობისთვის, როგორც საქართველოში, ისე მთლიანად რეგიონში და ხელს არ შეუწყობს რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიან გადაწყვეტას.

ბალტიის ასამბლეა მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, შეწყვიტოს საქართველოს მიმართ პროვოკაციული ქმედებები, გააუქმოს ე.წ. „შეთანხმება“ და შეასრულოს 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები, მათ შორის, შეუშვას ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოს ოკუპირებულ რეგიონში და კონსტრუქციულად ჩაერთოს ჟენევის მოლაპარაკებების პროცესში“, – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



*მეშვიდე გვერდიდან*

ძლიათ.

**— ისევ ტრანსპორტის სამსახურის უფროსს, პაატა ჯაჭველიანს მივადექით, ეგ კაცია მაგათი მენეჯერი...**

– სატრანსპორტო სამსახურის უფროსს არ ვერჩი, უკვე გითხარით, აქ სხვა და არსებითი პრობლემაა, ღმერთმა დამიფაროს, ერთი კაცის დონეზე დავიყვანო ეს პრობლემა. სამსახურს არაერთი ისეთი ფუნქცია აქვს შეთავსებული, რომელთაც ვერ აუდის, ვერ აკეთებს იმ საქმეებს, რაც კანონით ავალია. მაგალითად, საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის განყოფილება აქვს ამ სამსახურს, 7 თუ 8 კაცია ამ განყოფილებაში. ახლა, მითხარით, თუნდაც 8 კაცი აუვა თბილისის მოძრაობის ორგანიზებას? მოძრაობის ორგანიზება, მოძრაობის უსაფრთხოებასთან ერთად უმნიშვნელოვანესი საკითხია. ეს ისეთი თემაა, რომელიც არა მხოლოდ ტრანსპორტის საქალაქო სამსახურს, მერიის ყველა სამსახურს ეხება, სხვადასხვა კუთხით ცხადია. დავუშვათ, მერიის არქიტექტურის სამსახურს ხომ ეხება ტრანსპორტის მოძრაობისა და უსაფრთხოების საკითხი? მეტიც, ეს სამსახური ამ საქმესთან პირდაპირ კავშირშია. რამდენი კორპუსი და სხვა შენობა აშენდა ისეთ ადგილას, სადაც არ უნდა აშენებულიყო და დღეს ეს ახალი შენობები, საცობებსაც ქმნის და მოძრაობის უსაფრთხოების პრობლემასაც. ეს იმიტომ მოხდა, რომ არ იყო ამ სამსახურებს შორის კოორდინირება. ცხადია, სხვა მიზეზებიც იქნებოდა მერიის წინა მმართველობისას, მაგრამ ერთი ესეც გახლდათ.

ამიტომ, გამოსავალი ერთია: უნდა შეიქმნას მოძრაობის ორგანიზაციის საქალაქო სამსახური, მერიის ყველა სამსახურის უფროსი, ვალდებული იქნება, ამ სამსახურს დაეხმაროს მუშაობაში. ამ სამსახურთან უნდა არსებობდეს ცხელი ხაზი, უნდა იყოს ინტერაქტივები, ოპერატიულად უნდა მიეწოდოს ინფორმაცია, სად არის საცობი, სად არის ორმო თუ ახდილი ჭა. ამ სამსახურს უნდა ჰყავდეს სწრაფი რეაგირების ჯგუფი, რომელიც, უმოკლეს ვადაში მოაგვარებს ამ პრობლემებს, ამ საქმეში უნდა ჩაერთოს მედიაც, ყველამ უნდა მიაწოდოს ინფორმაცია საცობების, სატრანსპორტო მოძრაობის სხვა პრობლემების შესახებ, რაც სასწრაფოდ არის ამოსაფხვრელი, უნდა მოაგვაროს ამ სწრაფი რეაგირების ჯგუფმა, დანარჩენი საკითხები კი, უნდა დაიყოს პრიორიტეტებად და მერს უნდა მიეწოდებოდეს მათ შესახებ დეტალური ინფორმაცია, ასე ვთქვათ, მსხვილი და შედარებით გრძელ ვადაში მოსაგვარებელი საკითხები, უკვე მერიის ხელმძღვანელობასთან ერთად გადაწყდება, ამ პრიორიტეტებსაც ერთად დასახავენ. უმჯობესია, ეს სამსახური ჩამოყალიბდეს, ვიდრე ეს პრობლემები დარჩეს აღმოსაფხვრელი და 2 წლის შემდეგ, მივხვდეთ, რომ მისი შექმნის გარეშე შეუძლებელია ამ პრობლემების მოგვარება.

**— ეს დამოუკიდებელი სამსახური იქნება და არ დაექვემდებარება ტრანსპორტის საქალაქო სამსახურს?**

– კი, დამოუკიდებელი სამსახური უნდა იყოს, ეს არ არის ჩემი გამოგონილი, ევროპის ყველა დიდი ქალაქის მუნიციპალიტეტშია ასეთი სამსახურები.

**— ბატონო შალვა, სადისტრიბუციო და ნაგვის მანქანების პრობლემასაც მოაგვარებს ეგ ახალი სამსახური? მოგეხსენებათ, ერთიც და მეორეც საცობების გამომწვევი სერიოზული მიზეზია. პიკის საათებში მაინც ხომ უნდა აეკრძალოთ ამ ხალხს ქალაქში მოძრაობა?**

– სხვათა შორის, ამ ნაგვის მანქანებზე რამდენიმე ქუჩაზე უკვე მიმდინარეობს ექსპერიმენტი, ზუსტად მათი ქალაქში მოძრაობის საათების შეზღუდვის მიზნით. ეს კარგია, რომ დაიწყო და ექსპერიმენტის შედეგების შესახებ, როცა დასრულდება, მერე ვისაუბროთ. რაც შეეხება სადისტრიბუციო მანქანებს, რომლებიც საცობების მიზეზი ხშირად ხდებიან, მათ ან ისეთ დროს უნდა შეიტანონ პროდუქტი დაწესებულებაში, როცა არ არის დიდი მოძრაობა ან, მეორე რიგში მანქანა არ უნდა გააჩერონ, არ შეიძლება ერთი კონკრეტული მაღაზიის მეპატრონის ინტერესებს ათასობით თბილისელის ნერვ-



„4 თვე შემოგვადნა უკვე. საქალაქო სატრანსპორტო სამსახურები, ჩანასახშიც კი ვერ მოვიძიეთ, ძველი „ტეტეო“-ს დონეზე მუშაობს ეს სამსახური და დავით ნარმანია თავს იტყუებს, თუ ჰგონია, რომ ეს სამსახური ამ პრობლემებს თავს გაართმევს. სასწრაფო რეორგანიზებაა საჭირო ამ სამსახურისა“



„კარგია პატრულის სწრაფი რეაგირება მოძრაობის მოსაწესრიგებლად, კარგია პატრული რომ ირჯება, მაგრამ ისეთი შუქნიშნები და ისეთ ადგილებში უნდა დავაყენოთ, ზოგადად, მოძრაობის გამართული ორგანიზების მოგვარებით, პატრული აღარ გახდეს საჭირო. მოძრაობის ორგანიზაცია მარტო გზა არ არის. ეს არის საშუქნიშნე მეურნეობა, ეს არის დათვლა ნაკადების, ეს არის საგზაო ნიშნები, განათება, ტრანსპორტი, მარშრუტები...“

ბი, დრო და საწვავის ფული გადაყვეს. ბიზნესის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ სხვისთვის პრობლემების შექმნის ხარჯზე არ უნდა აკეთო ეს საქმე. მოკლედ, ეს გადაუდებლად მოსაგვარებელი საქმეა და ეს ახალი სამსახური, რომლის შექმნასაც ვითხოვთ, სწორედ ასეთი, სასწრაფოდ მოსაგვარებელი პრობლემების „სამზარეულო“ უნდა იყოს.

**— საკრებულოს უმრავლესობა დაუჭერს მხარს თქვენს ინიციატივას?**

– თბილისზე მზრუნველმა ყველა ადამიანმა უნდა დაუჭიროს მხარი ამ პროექტს, „ქართული ოცნება“ საკრებულოში თუ არ დაუჭერს მხარს, მაშინ თბილისი საცობების, გაუვალ ქალაქად გადაიქცევა. მათ უკვე კარგად იციან ამ პროექტის დეტალები და იმედია, მხარს დაუჭერენ, როცა საკანონმდებლო ინიციატივად იქცევა.

**ლევან ჯავახიშვილი**

577 51 73 37

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## შს მინისტრს სასამართლოში უჩივიან



„ნაციონალური მოძრობა“ შინაგან საქმეთა მინისტრს საჯარო ინფორმაციის შესახებ კანონის დარღვევაში ადანაშაულებს და მის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეაქვს.

ირმა ნადირაშვილის განმარტებით, მინისტრი ვალდებულია სადეპუტატო შეკითხვებს უპასუხოს, თუმცა ჭიკაიძე, არაერთი თხოვნის მიუხედავად, პარლამენტში არ მივიდა.

„არაერთი კითხვით მივმართეთ შინაგან საქმეთა მინისტრს. გვაინტერესებდა ინფორმაცია სამინისტროში გაცემულ სახელფასო დანამატებსა და პრემიებზე. არაერთი წერილის მიუხედავად, ინფორმაცია ვერ მივიღეთ. ამის შემდეგი გზა არის ის, რომ პარტიამ უკვე სასამართლოში იჩივლოს. სარჩელი მომზადებული გვაქვს და ჩვენ ამ სარჩელს შევიტანთ. ვთვლით, რომ სახელფასო დანამატებსა და პრემიებთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროში სერიოზული პრობლემებია. მიუხედავად იმისა, რომ მინისტრმა ეს ინფორმაცია არ გამოგვიგზავნა, ჩვენ გვყავს ჩვენი წყაროები, რომლებიც ინფორმაციას გვაწვდიან“, – განაცხადა ნადირაშვილმა. (ნიუპოსტი)

## რატომ გადადგა ჯემალ პაქსაძე



დასავლეთის ყოფილი მუფთის ჯემალ პაქსაძის თქმით, გადადგომის შესახებ გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღო. როგორც ის განმარტავს, ბოლო პერიოდში ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესებული ჰქონდა და დაკისრებული მოვალეობის ვერ ასრულებდა.

„გულის შეტევის გამო ბოლო თვეების განმავლობაში ვიმყოფებოდი კლინიკა „მედინაში“. რაც შეეხება გადადგომას, გადაწყვეტილება ჩემი სურვილით მივიღე. რეგიონის მუფთებს გავაცანი ჩემი გადაწყვეტილება და მათაც დააკმაყოფილეს ჩემი მოთხოვნა“, – განაცხადა პაქსაძემ.

დასავლეთ საქართველოს მუფთად ხელვაჩაურის მუფთი ბეგლარ ქამაშიძე აირჩიეს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

## შსს-ს ჩანერგილი თანამშრომელი საზოგადოებრივ მაუწყებელშიც მუშაობს

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის, თბილისის მერიის, მთავრობის კანცელარიისა და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის შემდეგ შსს-ს ჩანერგილი თანამშრომელი საზოგადოებრივ მაუწყებელშიც აღმოაჩინეს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ აგრძელებს საზოგადოების ინფორმირებას შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს) თანამშრომლების, ე.წ. „ოდეერების“ შესახებ, რომლებიც შსს-ს მიერ სხვადასხვა ორგანიზაციებში არიან გამწესებულნი. ფაქტობრივ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ჩვენს ბლოგპოსტებში ვწერდით შსს-ს იმ თანამშრომლების შესახებ, რომლებიც პარალელურად სხვადასხვა დაწესებულებებში მუშაობენ, მათ შორისაა კომუნიკაციების ეროვნული კომისია, თბილისის მერია, მთავრობის კანცელარია და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი. ამჯერად წარმოგიდგენთ დადასტურებულ ინფორმაციას საზოგადოებრივ მაუწყებელში გამწესებული „ოდეერის“ ირაკლი ციბაძის შესახებ.

საზოგადოებრივ მაუწყებელში შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის არსებობის შესახებ სამეურვეო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ემზარ გოგუაძე გასულ წელს საუბრობდა. მისი განცხადებით, შსს-ს კონტრდაზვერვის თანამშრომელი ირაკლი ციბაძე დირექტორის გიორგი ბარათაშვილისთვის უნდობლობის საკითხის გამოცხადებასთან დაკავშირებით პოზიციის შეცვლას სთხოვდა, რის სანაცვლოდაც მაღალ თანამდებობას ჰპირდებოდა. საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა თამაზ ტყემალაძემ დაადასტურა, რომ ირაკლი ციბაძე გენერალური დირექტორის მრჩეველი იყო უსაფრთხოების საკითხებში და განაცხადა, რომ მის გადაყენებას არ აპირებდა. შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის ნინო გიორგობიანის განცხადებით კი, ირაკლი ციბაძე სამინისტროში არ მუშაობდა.

2012 წელს შევსებული ქონებრივი დეკლარაციის თანახმად, 04/06/1977 წელს დაბადებული ირაკლი ციბაძეს შსს-ს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის კონტრდაზვერვის მთავარი სამმართველოს მესამე სამმართველოს მეოთხე სამსახურის უფროსის (სამმართველოს უფროსის მოადგილე) თანამდებობა ეკავა. 2013 და 2014 წლების დეკლარაციების მიხედვით კი ციბაძე კონტრდაზვერვის დეპარტამენტის უშიშროების საკითხებში ოფიცერთა მთავარი სამმართველოს უფროსია.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ თანამშრომლების მიერ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებგვერდზე არსებული ფოტოსურათის წარდგენის შემდეგ საზოგადოებრივი მაუწყებლის მონიტორინგის საბჭოს წევრმა ემზარ გოგუაძემ და მისმა ორმა კოლეგამ ამოიცნეს 04/06/1977 წელს დაბადებული ირაკლი ციბაძე. მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ირაკლი ციბაძე დღემდე მუშაობს საზოგადოებრივ მაუწყებელში. (ნიუპოსტი)



# სოსო ცინცაძე: „ნინო ბურჯანაძე თავის დროზე რატომ ჩავიდა მოსკოვში, ბიზნესი აქვს მოსკოვში, თუ სხვა რამე აინტერესებდა? ის ჩავიდა სწორედ მაშინ, როცა საჭირო იყო, მაგრამ დღესაც უხსენებენ, პუტინთან იდგაო...“

## „ხომ ხედავ, რომ მეგობრები იმდენს ვერ გეხმარებიან, რასაც შენი მოწინააღმდეგე ცუდს გიკეთებს“

**24 ნოემბერს სოხუმში ხელი საბოლოოდ მოეწერა ხელშეკრულებას და დასრულდა აფხაზეთის ანექსია. „თავისუფალი დემოკრატები“ მოუწოდებს ხელისუფლებას, რეაგირება მოახდინოს უმაღლეს დონეზე, რაც ნიშნავს იმას, რომ უნდა მივმართოთ საერთაშორისო ორგანიზაციებს, გაეროს უშიშროების საბჭოს, ევროკავშირსა და ა.შ. დღემდე არავინ მოუწოდებს ხელისუფლებას, დაუყოვნებლივ დაიწყოს მოლაპარაკება რუსეთის უმაღლეს ხელმძღვანელობასთან. ამ თემაზე „ალიას“ პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე ესაუბრება:**

– მე ძალიან მიკვირს ალასანიას პარტიისა, რომელსაც ელჩებისა და დიპლომატების საკრებულოს ეძახიან, ასეთი საკითხები საერთოდ არ ესმით, მე უკვე ეჭვი მეპარება მათ კვალიფიკაციაში. უმაღლეს დონეზე რეაგირება ნიშნავს, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააკეთოს შესაბამისი განცხადება. ამის შემდეგ უმაღლესი დონე არის პრემიერ-მინისტრი. საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება, რომელიც არაერთხელ გაკეთდა, არის ხელისუფლების ოფიციალური პოზიცია. ვერ გავიგე, სხვა მეტი რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ? ეს ხელშეკრულება რომ გაფორმდებოდა, ამაში ეჭვი არასოდეს მეპარებოდა, პუტინს თავის განზრახვა ვერ გადააფიქრებინა ევროპამ და ამერიკამ უკრაინასთან მიმართებაში, ამ შემთხვევაში, ამიხსნას ვინმემ, საქართველომ როგორ უნდა გადააფიქრებინოს?!.

**— ბატონო სოსო, იურიდიული თვალსაზრისით ეს ხელშეკრულება რას ნიშნავს ჩვენთვის?**

– იურიდიული თვალსაზრისით არაფერს არ ნიშნავს, ფაქტობრივად, ეს არის ანექსია, მაგრამ ნუ გვავიწყდება, საქართველომ აფხაზეთი დაკარგა მაშინ, როდესაც აფხაზებმა რუსები მიიპატიჟეს სოხუმში და მათთან ერთად გამოგვიცხადეს ომი. აი, მაშინ დაიკარგა აფხაზეთი და აფხაზურმა სეპარატისტულმა ელიტამ მაშინ ჩააბარა ეს ტერიტორია რუსეთს. ამის მერე მიდის ჯაჭვური რეაქცია. რასაკვირველია, საერთაშორისო საზოგადოება ამას არასოდეს არ ცნობს, მაგრამ მოსკოვს ეს საერთოდ არ აღელვებს, უკრაინაში რაც ამის გამო ხდება, მთელი მსოფლიოს საზოგადოება დაუპირისპირდა პუტინს, მაგრამ ნახევარი ნაბიჯი ვერ გადაადგმევინეს. ამ დროს საქართველოს რა შეუძლია?!. ჩვენ რაც შეგვეძლო, ყველაფერი გავაკეთეთ.

**— ხელისუფლებას მოუწოდებენ სასწრაფოდ დაიწყოს კონსულტაციები ევროკავშირთან, გაეროსთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ეს რას მოგვიტანს?**

– ეს არაფერს არ მოგვიტანს და ცოტა არ იყოს, არაჯენტლმენური ნაბიჯია პოლიტიკაში. „თავისუფალმა დემოკრატებმაც“ და „ნაციონალებმაც“, რომლებიც დღეს ხელისუფლებას აკრიტიკებენ, ძალიან კარგად იციან, რომ მეტის გაკეთება დღეს შეუძლებელია, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს საზღვარი აქვს. ქართული პოლიტიკა რაც არის, ამასაც ვხედავთ, აქ ყველაფერი ერთმანეთშია აღრეული და „ვინეგრეტად“ არის წარმოდგენილი. ჩვენ ხომ ვიცით, რომ ამის გამო ევროპა ერთ პატარა სანქციასაც არ დააწესებს რუსეთის წინააღმდეგ, ეს მშვენივრად იციან „დემოკრატებმაც“, „ნაციონალებმაც“ და სხვებმაც... საქართველო დღეს სულ რომ ყურებზე დადგეს და ყოველდღე ათი განცხადება გაავრცელოს და მილიონნახევრიანი მიტინგები ვაწყოთ რუსთაველზე, ევროკავშირი რეალურად ერთ ნაბიჯსაც არ გადადგამს. არაერთხელ ვთქვი, რომ რუსეთთან მიმართებაში კარასინ-აბაშიძის ფორმატმა, თავისი რესურსი ამოწურა. უკვე საჭიროა თამასის ცოტა მაღლა აწევა.

**— ეს საერთოდ რა თამასა იყო, გაუგებარია, კარასინმა და აბაშიძემ ილაპარაკონ ხახვის გატანაზე, კომბოსტოსა და ჭარხალზე, პოლიტიკა სულ სხვა რამეა...**

– დიახ, აქ ჩემთვის უკვე გაუგებარია, ჩვენი ხელისუფლება რატომ იკავებს თავს რუსეთთან დიალოგზე, მე ვფიქრობ, აქ ორი ფაქტორია, საშინაო და საერთაშორისო. თუ დავუკვირდებით, ევროპაც და ამერიკაც ცალი ყბით გვეუბნება, რომ რუსეთთან დიალოგი უნდა დავიწყოთ და ურთიერთობა უნდა დავარეგულიროთ, მაგრამ მეორე ყბით, როგორც კი დაიწყება რაღაც პატარა ძვრები, უცებ ატყდება ხოლმე ევროპაში ერთი ამბავი, საქართველო კურსს იცვლისო.

სხვათა შორის, ამ ყველაფერს უცხოურ პრესაში არ ჰქონია სერიოზული გამოხმაურება, სულ ორიოდე გაზეთმა დაწერა, რუსეთი აფხაზეთის ანექსიას იწყებსო. ეტყობა, არც იმათ იციან, რომ რუსეთმა აფხაზეთის ანექსია უკვე მოახდინა. ახლა ამ ხელშეკრულების გაფორმება დიდ ვერაფერს შეცვლის ჩვენსა და აფხაზებს შორის ურთიერთობაში, რადგან ეს ურთიერთობა საერთოდ არ არსებობს. თითქოს აფხაზეთის უხუცესთა საბჭომ უკმაყოფილება გამოთქვა, რაც, უბრალოდ, ზღაპარი და ლირიკაა, არც ეს ცვლის არაფერს.

**— ბატონო სოსო, რატომ არ მოუწოდებს ამ ხელისუფლებას ვინმე, თუნდაც შინაური და თუნდაც გარეული, რომ დაიწყოს მოლაპარაკებები რუსეთთან, მოხდეს შეხვედრები უმაღლეს დონეზე.**

– იგივე „ქართულ ოცნებაში“ არიან ადამიანები, რომლებიც ისევ „ნაციონალური მოძრაობის“ გავლენის ქვეშ იმყოფებიან და ხშირად მოწიწებასაც კი ვამჩნევ. ასევე, იგრძნობა შიშიც, მაინც ყველა ცდილობს, რომ არ იქცეს „ნაციონალების სამიზნედ რუსეთის საკითხში, არ დაუძახონ რუსეთუმე. მაგალითად, ნინო ბურჯანაძე თავის დროზე რატომ ჩავიდა მოსკოვში, ბიზნესი აქვს მოსკოვში, თუ სხვა რამე აინტერესებდა? ის ჩავიდა სწორედ მაშინ, როცა საჭირო იყო, მაგრამ დღესაც უხსენებენ, აი, იქ ჩავიდა და პუტინთან იდგაო... პუტინთან კი არა, თუ შენს ქვეყანას სჭირდება, ეშმაკის გვერდზეც უნდა დადგე, ესაა პოლიტიკა... შენ რომ არჩიო, მხოლოდ მეგობრებს დაველაპარაკებიო, ხომ ხედავ, რომ მეგობრები იმდენს ვერ გეხმარებიან, რასაც შენი მოწინააღმდეგე ცუდს გიკეთებს. კი ბატონო, დასავლეთის მიმართულებით ვაკეთოთ განცხადებები, მაგრამ რუსეთის მიმართულებით არაფერი არ კეთდება.

**— თქვენ ამბობთ, რომ დასავლეთი იმასაც გვეუბნება, რუსეთთან ურთიერთობა მოაგვარეთო, როცა რაღაც სიმპტომები ჩნდება, ამის შემდეგ იწყება განგაში, — არიქა, საქართველო პოლიტიკურ ორიენტაციას იცვლისო. რატომ ხდება ასე, ბოლოს და ბოლოს, რა უნდა დასავლეთს?**

– დასავლეთშიც არ არის ერთიანი აზრი, არიან პოლიტიკოსები, რომლებიც რეალურად აფასებენ მოვლენებს, არიან პოლიტიკოსები, რომლებსაც ამოჩემებული აქვთ, რომ რუსეთთან დალაპარაკება არ შეიძლება. დასავლეთს ეშინია აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში ორი ქვეყანა რომ შემორჩა, ესეც არ დაკარგოს. აქ საქმე გვაქვს ერთგვარ შიშთანაც, აქ არის მეორე საკითხიც, რატომ არის ჟენევის ფორმატი ასე გაწელილი და არაფრისმთქმელი?.. შენ გგონია, ევროპელი ჩინოვნიკები ამას ვერ გრძნობენ?.. 1993 წლიდან მოყოლებული, ჟენევაში დადიან და პინგ-პონგს თამაშობენ, ყველაფერი იცვლება საქართველოში, მაგრამ ეს ჟენევა არ იცვლება. პირდაპირ გეტყვი, ეს მათთვის არის კარგი ბიზნესი, ამას ჰქვია დიპლომატიური ბიზნესი, სადაც დიდი ფულია ჩადებული. კი, ხან 3 და ხან 4 თვეში ერთხელ ხვდებიან, მაგრამ მაინც გულუხვად ფინანსდებიან, ქმნიან შთაბეჭდილებას, რომ მიმდინარეობს მოლაპარაკება.

**— დაბოლოს, ვლადიმერ პუტინი აცხადებს, რომ რუსეთი მზადაა, გახსნას სარკინიგზო მიმართულება სოხუმი-თბილისი-ერევანი. ჩვენ რას გვაძლევს ეს პროექტი?**

– საკითხავია, ჩვენ სამაგიეროდ რას მივიღებთ, ხომ?.. როდესაც შევარდნაძე სოჭში შეხვდა პუტინს, მაშინ სიტყვიერად გადაწყდა, რომ რკინიგზის სანაცვლოდ უნდა დაწყებულიყო ეტაპობრივად დაბრუნება ლტოლვილებისა, ეს მე პირველი წყაროდან ვიცი, არავის მოყოლილს არ ვამბობ. პირველი დიდი ნაკადი ოჩამჩირეში უნდა დაბრუნებულიყო და შემდეგ, მოხდებოდა თანდათანობითი დაბრუნება. შემდეგ ეს საკითხი საერთოდ მოკვდა, აზერბაიჯანი იყო რკინიგზის გახსნის წინააღმდეგი. რკინიგზის გახსნა ძალიან კარგია, მაგრამ ეს საკითხი ცალმხრივად არ უნდა იყოს განხილული. შეიძლება ჩვენგან ეს იყოს კომპრომისი, მაგრამ რუსეთისგანაც უნდა იყოს რაღაც კომპრომისი. დიპლომატიაში ცალმხრივი დათმობა არ შეიძლება. ჩვენ რაც გავაკეთეთ ცალმხრივად, შევარდნაძიდან მოყოლებული, ყველაფერი შევარდნაძემ ჩაიდო ჯიბეში და სამაგიეროდ, არავითარი არ გაკეთებულა. როდესაც პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა შექმნა თავისი წარმომადგენლის პოსტი, რომელიც რუსეთის ხელმძღვანელობას დაელაპარაკებოდა, რუსებმა ნაბიჯი არ გადმოდგეს, მხოლოდ ოთხი თვის შემდეგ გაახსენდათ და ეს საქმე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს კარასინს ჩააბარეს. რუსეთის პრემიერ-მინისტრს არ შეუქმნია ანალოგიური თანამდებობა, უბრალოდ, ვიღაცას ჩააბარეს. რკინიგზა დღეს ისე სჭირდება რუსეთს და სომხეთს, რომ აქედან ჩვენ რაღაცა სარგებელი შეიძლება ვნახოთ.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## არასაპარლამენტო ოპოზიცია ხელისუფლებასთან კონსულტაციებს იწყებს



25 ნოემბერს, 13.00 საათზე, თბილისში, საქართველოს პარლამენტის შენობაში საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე მომუშავე ოპოზიციის ინტერპარტიული ჯგუფის პოლიტიკური პარტიები საქართველოს პარლამენტისა და სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარეს ბატონ დავით უსუფაშვილს შეხვდებიან. ისინი თავმჯდომარეს გააცნობენ ჯგუფის ერთობლივ ინიციატივას საკონსტიტუციო ცვლილების შესახებ, რომლის თანახმადაც საქართველოს პარლამენტი უნდა შედგებოდეს პროპორციული წესით არჩეული 150 წევრისგან.

აღნიშნული ინიციატივა ემყარება ქართველი საზოგადოების მოთხოვნასა და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებს საარჩევნო სისტემის გაუმჯობესების შესახებ, რათა საარჩევნო სისტემამ მაქსიმალური სიზუსტით ასახოს ამომრჩეველთა განწყობა, ანუ საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული მანდატების რაოდენობა უნდა იყოს არჩევნებში მათ მიერ მიღებული ხმების პროპორციული. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

## სოხუმის ქუჩებში რეგულარული რეიდები ტარდება



სოხუმში ე.წ. სამართალდამცავი ორგანოების პასუხისმგებელი პირების სპეციალური შეკრება გაიმართა. შეკრებას ე.წ. შინაგან საქმეთა მინისტრი რაულ ლოლუა ხელმძღვანელობდა. ძირითადი თემა ოკუპირებულ აფხაზეთში გართულებული კრიმინოგენური ვითარება და დამნაშავეობასთან ბრძოლის საკითხები იყო.

ე.წ. შინაგან საქმეთა მინისტრმა თავის ხელქვეითებს, თითოეული სამართალდარღვევის ფაქტზე მკაცრი რეაგირება და ვითარების მართვის სადავეების ხელში აღება მოსთხოვა.

„ჩვენ ამ სადავეებს ხელიდან არ გავუშვებთ და ვითარება არ იქნება ისეთი, როგორიც ერთი ან ორი კვირის წინ იყო“. – აღნიშნა მან.

მისი თქმით, უკვე რამდენიმე დღეა სოხუმის ქუჩებში რეგულარული რეიდები იმართება, მაგრამ მიუხედავად კონტროლის გამკაცრებისა, არც ნასვამი მძღოლების რაოდენობამ იკლო, არც სიჩქარის გადაჭარბების ფაქტებმა და არც ავტოსაგზაო შემთხვევებმა, რაც იმას ნიშნავს, რომ მდგომარეობა ჯერ კიდევ რთულია და ასე ერთბაშად მისი გამოსწორდება ძნელია. თუმცა, სამართალდამცავების შემდგომი ქმედებები სასურველ შედეგს აუცილებლად გამოიღებს.

ოკუპირებული აფხაზეთის დედაქალაქში შინაგან საქმეთა ორგანოები მუშაობის განსაკუთრებულ რეჟიმზე მას შემდეგ გადავიდნენ, რაც რამდენიმე დღის წინ პრემიერ-მინისტრ ბესლან ბუთბასა და აფხაზ მილიციელებზე თავდასხმა განხორციელდა. (ნიუპოსტი)

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## ოთო ნემსაძე: „ასე ცხოვრებაში პირველად შემიყვარდა“



მათი სიყვარულის ისტორია სოციალური ქსელიდან დაიწყო. თათა ამერიკაში ცხოვრობდა, ოთო – თბილისში. მერე, თათა სამშობლოში დროებით დაბრუნდა და ზუსტად აქედან დაიწყო ყველაფერი.

„ფეისბუკში“ მეგობრობა მალე სიყვარულში გადაიზარდა და 25 წლის მომღერალი ოთო ნემსაძე 23 წლის თათა კუპრავაზე დაქორწინდა. ჯვარი ზაფხულში ანჩისხატში დაიწერეს და ორიგინალური ქორწილი ბეთანიაში, ღია ცის ქვეშ გადაიხადეს.

ოთო ნემსაძე:

– ამდენი ხანი ვმეგობრობდით და მინდოდა, რომ მენახა. არასდროს მიფიქრია, რომ ოდესმე მაინც გავიცნობდით ერთმანეთს. ვერ ვიფიქრებდი, რომ ერთად ვიქნებოდით, რადგან ის ძალიან შორს იყო... სხვადასხვა გეგმები გვქონდა და ა.შ. თათამ თავიდანვე იმით მომხიბლა, რომ გაცილებით სხვანაირად აზროვნებდა, ვიდრე აქამდე ვიცნობდი და ვიცნობ. გაცილებით ჭკვიანია, ლამაზია და „ქარქლია“. იცით, რა არის ქარქლი? აი, ეს არის, თათა. ასე ცხოვრებაში პირველად შემიყვარდა.

თათა:

– მე ვიტყვი, რომ თავიდანვე მომწონდა. თავიდანვე მომეწონა მისი სიმღერა, ძალიან მამაკაცურია. მეცინება ხოლმე, როცა ამბობენ, ჩვენ „ფეისბუკზე“ გავიცანით ერთმანეთიო, მაგრამ ჩემს შემთხვევაშიც ასე იყო. იუმორის გრძნობა აქვს ისეთი, რომ არ მოგაწყენს. ბიჭისთვის მთავარი ეგ არის. კაცი მაიმუნზე ოდნავ ლამაზი უნდა იყოს და იუმორის გრძნობა უნდა ჰქონდეს.

*primetimenews.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## ნუცა ბუზალაძემ „ცეკვავენ ვარსკვლავები“ მოულოდნელად დატოვა – ფოტო კლინიკიდან



– ეჰჰჰჰჰჰ, ესეთებიც ხდება, სამწუხაროდ... მაგრამ ამით ცხოვრება არ მთავრდება, ჩემო გოგო, – ასეთი შინაარსის სტატუსს წერს კახა მამულაშვილი (მამულიჩა) „ფეისბუკის“ გვერდზე და ნუცა ბუზალაძის კლინიკაში გადაღებულ ფოტოებს აქვეყნებს.

„ცეკვავენ ვარსკვლავების“ ნიჭიერმა მონაწილემ ნუცა ბუზალაძემ პროექტი დატოვა – მომღერალი ფეხის ტრავმის გამო საავადმყოფოში გადაიყვანეს. ნუცას მიერ პროექტის დატოვებას მეგობრებისა და გულშემატკივრების გამოხმაურება მოჰყვა.

– სამწუხაროდ, პროექტს ვტოვებთ, ნუცას წინააღმდეგობის მიუხედავად, ჯანმრთელობა, უპირველეს ყოვლისა. ტრავმა რთულია ძალიან, – წერს მამულიჩა კომენტარებში.

*newposts.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## ზალიკო სულაკაურმა „მაესტროს“ ჟურნალისტზე იქორწინა

მხატვარმა და კარიკატურისტმა ზალიკო სულაკაურმა ცოლი მოიყვანა.

„მაესტროს“ ჟურნალისტმა ნინო განუგრავამ და ზალიკომ ერთად ცხოვრება დაახლოებით ორი თვის წინ დაიწყეს, თუმცა თანაცხოვრება 21 ნოემბერს დააკანონეს და იუსტიციის სახლში ხელი ზედმეტი პომპეზურობის გარეშე მოაწერეს.

პატარძლის მეჯვარე მსახიობი ლევან სუხიტაშვილი იყო. წყვილის ჩაცმულობაზე ზალიკომ იზრუნა და თემატური ჩასაცმელი შექმნა. ერთმანეთის კარიკატურული ნახატები მათ ჩასაცმელზე ჰქონდათ გამოსახული.

– მოკლედ ასე... უხერხულობების თავიდან ასაცილებლად.. მე და ზალიკო... და ჩვენი მეჯვარეები... ლევანი ჩემი და კატო ზალიკოსი. დაგვაქორწინეს... მაააშ )), – წერს ნინო საკუთარ „ფეისბუკ“ გვერდზე.

*primetimenews.ge*



საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## „ბატონო ბიძინა, ჯონ ლენონს დავით საგანელიძემ ესროლა, ჩემი თვალით დავინახე!“

თავდაცვის ყოფილი მინისტრის მეუღლე ნათია ფანჯიკიძე „ფეისბუკის“ გვერდზე სტატუსს აქვეყნებს და ყოფილ პრემიერს ბიძინა ივანიშვილს მიმართავს.



– სანამ პროკურორებამდე მივა საქმე, როგორც წესია, ჯერ თქვენ უნდა მოგახსენოთ, ბატონო ბიძინა – ჯონ ლენონს დავით საგანელიძემ ესროლა, ჩემი თვალით დავინახე! ირაკლი მოშორებით იყო ამ დროს, უბრალოდ, შეესწრო. საგანელიძე რომ გაიქცა, კამერამ ირაკლი დააფიქსირა, პულსის გასასინჯად რომ მივარდა ჯონს, იმ დროს, – წერს ნათია ფანჯიკიძე.

*newposts.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

## ჯენიფერ ლოურენსი ქართველმა დიზაინერმა შეარცხვინა



ჰოლივუდის მსახიობი ჯენიფერ ლოურენსი „შიშველ სკანდალში“ გაეხვია. ლონდონში მორიგი ფილმის პრემიერაზე მსახიობი კამერამ უხერხულ მომენტში დააფიქსირა და ფირზე გაშიშვლებული მკერდით აღბეჭდა. სხვათა შორის, ლოურენსი ქართველი დიზაინერის, დევიდ კომას კაბაში გახლდათ გამოწყობილი. ღრმა დეკოლტე, როგორც ჩანს, მხოლოდ სცენისთვის, გამართულ მდგომარეობაში მყოფ სხეულზე იყო გათვლილი. შესაბამისად, სცენაზე ყველაფერმა კარგად ჩაიარა, სამაგიეროდ, როგორც კი მსახიობი მოიხარა და მანქანაში ჩაჯდა, მკერდი ბოლომდე გაშიშვლდა.



მსახიობს ეს მარცხი თავიდანვე არ შეუნიშნავს – ამ დროს მას გადახსნილი კალთიდან მომზირალი შიშველი ფეხები უფრო აღელვებდა, რომელთა დასაფარად კალთებს ვერა და ვერ მოუყარა თავი. როცა მეორე პრობლემაც შენიშნა, მხოლოდ გაიცინა და მისი დაფარვა ხელით სცადა.

*ambebi.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## ანრი ჯოხაძის სექსუალურ პარტნიორზე მაკა შალიკაშვილი ეჭვიანობს



მომღერალი ანრი ჯოხაძე მორიგ კლიპს ბაკურიანში იღებს. მასთან ერთად ბაკურიანშია სომეხი მომღერალი ევა რივასი. როგორც ჩანს, კლიპში ევასაც ვიხილავთ, ანრი ევასთან ერთად ბაკურიანში გადაღებულ ფოტოებს აქვეყნებს.

ევამ და ანრიმ ერთმანეთი სომხური ტელევიზიის პროექტ „10+10“-ში გაიცნო. ეპატაჟური მომღერლები არ ერიდებოდნენ, სცენაზე ეროტიკული სცენების თამაშს. ერთ-ერთ ნომერში საწოლიც კი გამოიყენეს რეკვიზიტად და ბოლოს მათი ვნებიანი კოცნაც იხილა მაყურებელმა.



ევა ამ პროექტის მერე რამდენჯერმე ჩამოვიდა თბილისში. რასაკვირველია, ყოველ ჯერზე საუბრობდნენ, რომ კარგი წყვილი იყო და ერთმანეთს ძალიან უხდებოდნენ.

ამჯერადაც ანრისა და ევას ერთად გადაღებულ ფოტოებს უამრავი მოწონება აქვს და მეგობრები წერენ, ულამაზესი წყვილი ხართო. მსახიობი და ტელეწამყვანი მაკა შალიკაშვილი კი რომელიც ანრის კლიპებში ძალიან ხშირადაა, წერს: ცოტა ვიეჭვიანე, მაგრამ ძალიან ლამაზი გოგოა, ერთურთს უხდებით“.

*reitingi.ge*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge


## თეთრ ავტომობილს ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა შეუძლია



მართალია, შავი და ვერცხლისფერი ავტომობილები გაცილებით პოპულარულია, მაგრამ ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ადამიანის სიცოცხლისთვის და ჯანმრთელობისთვის ყველაზე უსაფრთხო თეთრი ფერის მანქანაა.

გერმანელი მეცნიერების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ თეთრ ავტომობილებს გაცილებით იშვიათად ეჯახება სხვა ტრანსპორტი. განსაკუთრებით, ცუდი მხედველობის პირობებში. ყველაზე ნაკლებად შესამჩნევი ცუდი განათებისას და მზის სიკაშკაშეზე შავი მანქანები მოჩანს, შემდეგია ვერცხლისფერი.

საერთოდ, ავარიების შემთხვევების სტატისტიკა მთელი მსოფლიოდან იმაზე მეტყველებს, რომ საგზაო შემთხვევები ავტომობილების მუქ ფერებს უკავშირდება. ნათელი ფერები, როგორიცაა თეთრი და ყვითელი, კარგად ირეკლავენ სინათლეს და მანქანას საკმაოდ შორი მანძილიდანაც კი ხდიან შესამჩნევს.

გერმანელების პარალელურად, მსგავსი შინაარსის კვლევა ჩაატარეს შვედმა მეცნიერებმაც, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ყველაზე უსაფრთხო ვარდისფერი ავტომობილებია, ხოლო ავსტრალიელმა სწავლულებმა დაადგინეს, რომ, ამ მხრივ, ლიდერია თეთრი ფერის მანქანა, რომელიც ავარიებში 12 პროცენტით იშვიათად ხვდება.

*pronowosti.ru*

## შექმნილია საკვებად ვარგისი... პარფიუმერია



სავაჭრო მარკა „ლუსი მაკრეიმ" უნიკალური პარფიუმის შექმნა დააანონსა, რომელიც... იჭმევა.

ცნობილი ხდება, რომ პარფიუმი ბიოლოგების დახმარებით შეიქმნა და იგი განსაზღვრულია არა გარე, არამედ შიდა გამოყენებისთვის.

რას ნიშნავს „პარფიუმი შიდა გამოყენებისთვის"? ახლავე ყველაფერს აგიხსნით: მისი მოქმედების პრინციპი საკმაოდ ორიგინალურია. კერძოდ, დილას, სამსახურში გასვლამდე, ადამიანმა ერთი კაფსულა უნდა გადაყლაპოს, რომელიც უნიკალურ შენაერთებს შეიცავს. ნივთიერებათა ცვლის შედეგად, ხდება არომატული ნივთიერებების გამომუშავება, რომლებიც კანის ფორებიდან ნელ-ნელა იწყებს გამოსვლას. ამის წყალობით, დეზოდორანტებისა და ტუალეტის წყლის რეგულარული გამოყენება საჭირო აღარ იქნება.



ამასთანავე, როგორც სიახლის ავტორები ამტკიცებენ, თითოეულ მომხმარებელს სხვადასხვანაირი სასიამოვნო სუნი ექნება, რადგან კაფსულაში შემავალი ნივთიერებები ადამიანის უნიკალურ სეკრეციებს ერევა. შედეგად, წარმოიქმნება არომატი, რომელსაც ანალოგი, უბრალოდ, არ გააჩნია.

პარფიუმის კიდევ ერთი უნიკალური თვისება სუნის ინტენსივობას უკავშირდება. კერძოდ, იმის გამო, რომ ის კანის ფორებიდან ოფლთან ერთად გამოდის, როცა ადამიანი ფიზიკურად პასიურ მდგომარეობაში იქნება, სუნი თითქმის შეუმჩნეველი გახდება. სამაგიეროდ, აქტიური მოძრაობებისას პარფიუმი ძალიან სასიამოვნო სურნელს დააყენებს.

ამ დროისთვის პარფიუმის ლაბორატორიული გამოკვლევები უკვე დასრულებულია, თუმცა როდის გამოჩნდება ბაზარზე, უცნობია.

*dama.info*

## ჩინეთი გაქრება, როგორც ვენეცია



მართალია, ჯერ არც ვენეცია დაუკარგავს იტალიას, თუმცა პროგნოზები რომ არასახარბიელოა მის შემთხვევაში, ალბათ, კი გაქვთ გაგონილი.

ჰოდა, ახლა ჩინეთს დაუსახეს არც თუ სახარბიელო პერსპექტივები: ვენეციის პარალელურად, მასაც ძალიან დიდი საფრთხე ემუქრება, რომ უახლოეს ათწლეულებში განადგურდეს და გაქრეს.

სპეციალისტები მიზეზად იმას ასახელებენ, რომ წყალქვეშა წყლების ძალიან აქტიური გამოყენება ხდება.

ჩინეთის მიწისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დასკვნით, 50-მდე ქალაქს უკვე აქვს ძალიან სერიოზული პრობლემები. კერძოდ, მიწის ქვეშ აღმოჩენის პერსპექტივა დაახლოებით 80 ათას კვადრატულ კილომეტრს გაუჩნდა. ყველაზე დიდი საფრთხეები ემუქრება ქალაქებს: სიანე, პეკინი, ჰანჩჟოუ, ტიანცზინი.

*vesti.ru*

## გერმანიაში ბავშვებისთვის საშიში სახელების რეგისტრაციაზე უარს ამბობენ



არც გვესმის და არც გვინდა, გავუგოთ ისეთ მშობლებს, ვინც საკუთარ შვილებს ძალიან უცნაურ სახელებს არქმევს. მოგეხსენებათ, ასეთები საქართველოშიც საკმაოზე მეტად ბევრია და ჩამოთვლას აღარ დავიწყებთ. უბრალოდ, გერმანიის მაგალითზე მოგიყვებით, სადაც ადგილობრივმა უწყებებმა გადაწყვიტეს, არ დაარეგისტრირონ ისეთი სახელები, რომლებსაც ბავშვისთვის ზიანის მიყენება შეუძლია.

მაგალითად, გოგონა, რომლისთვისაც მშობლებს ემილი-ექსტრას დარქმევა სურდათ, მთელი წლის მანძილზე უსახელოდ რჩებოდა, სანამ დედ-მამამ სასამართლოს არ მიმართა და განსაკუთრებული ნებართვა არ მიიღო. საქმე ისაა, რომ შესაბამის გერმანულ უწყებებს აქვთ სრული უფლება, უჩვეულო სახელები არ დაარეგისტრირონ.

თურმე, გერმანიას არ აქვს კონკრეტული კანონი, როგორ უნდა შეურჩიონ მშობლებმა თავიანთ შვილებს სახელები, თუმცა არსებობს არაერთი დირექტივა. მათ შორის, ყველაზე მთავარი მოთხოვნაა, რომ სახელმა ბავშვის კეთილდღეობასა და ფსიქოლოგიურ მდგომარეობას ზიანი არ უნდა მიაყენოს. გარდა ამისა, რეკომენდებულია ისეთი სახელების შერჩევა, რომელიც ბავშვის სქესზე ინფორმაციას იძლევა.

თითოეული შესაბამისი უწყება დამოუკიდებლად წყვეტს, რომელი სახელი დაარეგისტრიროს და რომელი – არა. მაგალითად, ლაიპციგში უარს ამბობენ ისეთი სახელების დარეგისტრირებაზე, როგორებიცაა: ქრეიზი, ჰორზ, ვისკი, იოგურტი, მილენიუმი, სტომატისი, იანვარი, პორშე, ბორუსია, გრამოფონი, სატანა, სპუტნიკი, მაკდონალდსი და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. გასაკვირია, მაგრამ ყველა ამ სახელზე ლაიპციგში მშობლების მოთხოვნა ყოფილა, თუმცა, საბედნიეროდ, მათ სასტიკი უარი მიიღეს.

*lb.ua*

## კომპიუტერთან მუშაობა ნაოჭების გაჩენის მიზეზიც ხდება



ალბათ, ეს ერთ-ერთი ყველაზე მსუბუქი უსიამოვნებაა მათ შორის, რომელთა გამოწვევაც კომპიუტერს შეუძლია. თუმცა რადგან საქმეში ჩახედულმა ადამიანებმა ასეთი საკითხიც წამოჭრეს, ჩვენც, უბრალოდ, გაგაფრთხილებთ.

– კომპიუტერი ვნებს არა მხოლოდ მხედველობასა და ხერხემალს, არამედ ადრეულ ასაკში ნაოჭების გაჩენაც შეუძლია, – ასეთი დასკვნა ბრიტანელმა კოსმეტოლოგებმა გამოიტანეს.

მათ ყურადღება მიაქციეს იმ ფაქტს, რომ სულ უფრო მეტი ადამიანი მოითხოვს დახმარებას სიბერის ნიშნების დროზე ბევრად ადრე გაჩენის გამო. რაც მთავარია, ყველა ასეთი პაციენტი კომპიუტერთან საკმაოზე მეტად დიდ დროს ატარებს.

სპეციალისტებმა ამ პრობლემას „კომპიუტერული სახე" დაარქვეს და განმარტავენ, რომ მონიტორთან მუდმივად ახლოს ჯდომის გამო, სახეზე ჩნდება ნაოჭები, ორმაგი ნიკაპი, სივდება ქვედა წამწამები.

ამ ყველაფრის მიზეზია კომპიუტერთან მჯდომი ადამიანის არასწორი პოზა. გარდა ამისა, ინფორმაციის კითხვისას თუ, უბრალოდ, საიტების თვალიერებისას, ადამიანი მიმიკით რეაგირებს, რაც ხდება კიდეც ადრეული ნაოჭების გაჩენის მიზეზი.

მოსაზრების ავტორები აკონკრეტებენ, რომ ჩვეულებრივ, აღნიშნული პრობლემა მშვენიერ სქესს აწუხებს, თუმცა არც მამაკაცები არიან უკეთეს მდგომარეობაში.

*myjane.ru*

## კომპიუტერული ტომოგრაფია ჭარბწონიან პაციენტებს დიდ ზიანს აყენებს



იმისთვის, რათა კომპიუტერული ტომოგრაფია ნორმალურად ჩატარდეს ჭარბი წონის მქონე პაციენტისთვის, ჩვეულებრივ, რენტგენული დასხივების ძალიან დიდი დოზებია საჭირო. აქედან გამომდინარე, სპეციალისტები დაფიქრდნენ: აყენებს თუ არა პროცედურა ადამიანს ზიანს?

ამისთვის ამერიკელმა მეცნიერებმა რენსელარის პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან განსხვავებული სხეულების კომპიუტერული მოდელები შექმნეს. ზოგიერთი მოდელი ნორმალური წონის მქონე ადამიანისას შეესაბამებოდა, ზოგიერთი კი – ჭარბწონიანებისას. შემდეგ უკვე ეს მოდელები პროგრამაში შეიყვანეს და მათზე რადიაციული დასხივების სიმულაციური ეფექტი მოახდინეს.

აღმოჩნდა, რომ კომპიუტერული ტომოგრაფია ფუმფულა პაციენტების შინაგან ორგანოებს რადიაციას მთელი 62 პროცენტით მაღალი დოზით იღებენ. ეს მამაკაცების შემთხვევაში, ჭარბწონიანი ქალების შემთხვევაში კი ეს მაჩვენებელი 59 პროცენტს შეადგენს.

ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ პროცედურა კიბოს გაჩენის რისკს მნიშვნელოვნად ზრდის. კერძოდ, როგორც სპეციალისტებმა გამოითვალეს, ჭარბწონიან ადამიანებში ონკოლოგიური დაავადებების გაჩენის რისკი 60 პროცენტით მაღალია.

*medkarta.com*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



## სიგარეტის გადაგდების ასეთ მეთოდზე რას იტყვით?



42 წლის იბრაჰიმ იუსელი თურქეთის ქალაქ კიუტახიადან უკვე 26 წელია, სიგარეტს ეწევა.

მავნე ჩვევაზე რომ უარი ეთქვა, მხოლოდ ნებისყოფა არ ეყო და ძალიან უჩვეულო მეთოდი მოიფიქრა – გადაწყვიტა, სიგარეტს ფიზიკურად ველარ შეეხოს.

ამითვის იბრაჰიმს სახლიდან გასვლისას მეუღლე თავზე ლითონის გალიას ადგამს, რომელსაც გასაღებით კეტავს.

ასე და ამგვარად, უბრალოდ, შეუძლებელი ხდება, იბრაჰიმმა ტუჩებთან სიგარეტი მიიტანოს.

სხვათა შორის, ამ უჩვეულო მეთოდით იბრაჰიმ იუსელი კიდევ ერთი მავნე ჩვევასაც მოიშორებს – ქუჩაში სწრაფი კვების ობიექტებით სარგებლობას.

***porjati.net***

## შოკისმომგვრელი ფოტოები — ბავშვები თეთრ დათვებთან ერთად დაცურავენ



ეს სულაც არ არის ფოტოშოპი, როგორც, ალბათ, ბევრი იფიქრებდა. ბავშვებს მართლაც შეუძლიათ თეთრი დათვების გარემოცვაში სრულიად უსაფრთხოდ იცურაონ.

ეს შოკისმომგვრელი ფოტოები კანადაში, კერძოდ კი ონტარიოს ერთ-ერთ ზოოპარკშია გადაღებული, სადაც მსგავსი იდილია ადამიანებსა და ცხოველთა სამყაროს ერთ-ერთ ყველაზე საშიშ მტაცებელს შორის 2004 წლიდან სუფევს...

სინამდვილეში, ადამიანები და დათვები ორ სხვადასხვა აუზში ცურაობენ და მათ ტყვიაგაუმტარი შუშა ჰყოფთ, რომლის სისქე დაახლოებით 10 სანტიმეტრია.

ამის მიუხედავად, ეს არის ნამდვილი შოკი ნებისმიერი ადამიანისთვის, რომელიც ასეთ სცენას ცხოვრებაში პირველად ხედავს...

***porjati.net***

## ქალაქი ავსტრალიაში, სადაც ყველა მიწის ქვეშ ცხოვრობს




კუბერ-პედი – სამხრეთ ავსტრალიის შტატის ერთი პატარა ქალაქია, რომელშიც 2008 წლის მონაცემებით, დაახლოებით 2 ათასი ადამიანი ცხოვრობს.

ქალაქი ცნობილია, როგორც ოპალის მსოფლიო დედაქალაქი, რადგან ამ ძვირფასი ქვის მთელი მარაგის 30 პროცენტი სწორედ კუბერ-პედშია თავმოყრილი.

ქალაქის სახელწოდება ავსტრალიელი აბორიგენების ენიდან ითარგმნება, როგორც „თეთრი ადამიანის სორო“ ან „თეთრი ადამიანი მიწის ქვეშ“.

მკაცრი ტემპერატურული რეჟიმისა და სამთო მრეწველობის გამო, ადამიანები იქ მუდმივად მიწისქვეშა გამოქვაბულებსა თუ მიტოვებულ მაღაროებში ცხოვრობენ.

საინტერესოა, რომ კუბერ-პედიში მიწის ქვეშაა განთავსებული საფლავებიც, ტაძრებიც და კიდევ არაერთი შენობა თუ დაწესებულება.

***ru.wikipedia.org***

## „ნაგვის დიდი კუნძული“, რომლის ფართობიც 1 მილიონ კვადრატულ მეტრს აღემატება



„წყნარი ოკეანის ნაგვის დიდი ლაქა“, „წყნარი ოკეანის ნაგვის მორევი“, „ჩრდილოეთ წყნარი ოკეანის სპირალი“, „წყნარი ოკეანის ნაგვის კუნძული“, მოკლედ, რას აღარ უწოდებენ ნაგვის გიგანტურ კუნძულს, რომელიც, სამწუხაროდ, გიგანტური ტემპებით იზრდება.

ნაგვის კუნძულზე უკვე 50 წელზე მეტია საუბრობენ, მაგრამ პარადოქსული ის გახლავთ, რომ პრობლემის მოგვარებისთვის არავითარი ქმედითი ნაბიჯები ვერ თუ არ იდგმება. ამასობაში კი გარემოს გამოუსწორებელი ზიანი ადგება, ილუპება ცხოველთა არაერთი სახეობა.

როგორც ამბობენ, არნახული მასშტაბების დაბინძურება ლამის პლასტმასის გამოგონებისთანავე დაიწყო.

ნაგვის კუნძული, რომლის ფართობი 1 მილიონ კვადრატულ მეტრს სცილდება, კალიფორნიას, ჰავაისა და ალიასკას შორის დაცურავს. საუბარია მილიონობით ტონა ნაგავზე!

წლის მანძილზე კუნძულის გამო, მილიონობით ფრინველი კვდება. ასევე, ილუპება 100 ათასზე მეტი ზღვის ძუძუმწოვარი.

***factroom.ru***

## გინესის რეკორდების წიგნის რეკორდსმენი რეკორდების რაოდენობის მიხედვით



ნუ დაგვადანაშაულებთ ტავტოლოგიაში, რადგან აშრიტა ფურმანის ცხოვრებაში სწორედ სიტყვა „რეკორდი“ გახდა გადამწყვეტი.

რაც არ უნდა გასაკვირად მოგეჩვენოთ, ამ ადამიანის ანგარიშზე უკვე 103 რეკორდია, მათ შორის ისეთებიც, რომელთა დამყარება განსაკუთრებით რთულ სიტუაციებში და პლანეტის ყველაზე ეგზოტიკურ ადგილებში შეძლო.

დღეისთვის აშრიტა ფურმანი 20-ზე მეტი ისეთი რეკორდის ავტორია, რომლებიც ვერავინ გააუმჯობესა. ერთ-ერთი ყველაზე მთავარი რეკორდი კი რეკორდების რაოდენობაა. ამ მხრივ მეორე ადგილზე საყოველთაოდ ცნობილი პოლ მაკარტნია 18 რეკორდით, რომლებსაც ჯერჯერობით ვერავინ აუმჯობესებს. ერთი კია, ამ ორი ადამიანის მიღწევები ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულია – მაკარტნის შემთხვევაში რეკორდები მის ჰიტებს უკავშირდება, ხოლო ფურმანი ამჯობინებს, ვთქვათ, ჰულა-ჰუპის ტრიალს, ჟონგლიორობას, სირბილს, ხტუნაობას და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

ზოგიერთ რეკორდში აშრიტამ წარმოუდგენელი გამძლეობა და სიჩქარის დემონსტრირება მოახდინა. მაგალითად, მდინარე ამაზონში 3 საათისა და 40 წუთის მანძილზე შეუჩერებლად ხტუნაობდა კალიასავით, კალიასავით ხტუნვა-ხტუნვით დაძლია 16 მილი ფუძიამას მთამდე, 12 მილზე მეტი იგორავა მასაჩუსეტსის შტატის საავტომობილო გზაზე, 1 საათში მუხლი 4495-ჯერ მოხარა, 129 კილომეტრი თავზე დადებული რძით სავსე ჭიქით დაფარა, ეიფელის კოშკის ფონზე 8555 აჭიმვა გააკეთა მუცლის პრესის ტრენაჟორზე და მოკლედ, მისი ყველა რეკორდის ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს.

– მინდა ყველას დავანახო, რომ ადამიანის შესაძლებლობებს საზღვარი არ აქვს, რომ ადამიანს ყველაფრის გაკეთება შეუძლია, თუკი, რა თქმა უნდა, საკუთარი თავის რწმენა გვექნება, – ამბობს გინესის რეკორდების წიგნის რეკორდსმენი რეკორდების რაოდენობის მიხედვით.

***gazeta.aif.ru***

## შვედეთში ნებადართულია, ადამიანი დაკავდეს პროსტიტუციით, თუმცა მეძავის მომსახურებით სარგებლობა აკრძალულია



რა გამოდის ახლა ეს – გეკუთვნის, მაგრამ არ გეკუთვნისო, არა? ჰო, დაახლოებით ასეა საქმე, თუმცა „უსქესო“ საბავშვო ბაღის შემდეგ ამ ქვეყნისგან ნამდვილად აღარაფერი გაგვიკვირდება!

1999 წელს შვედეთის ხელისუფლებამ მოულოდნელი ნაბიჯი გადადგა და პროსტიტუცია დააკანონა. ამის შემდეგ, მეძავებს დაუბრკოლებლად შეეძლოთ მსურველებისთვის თავიანთი მომსახურების შეთავაზება, მაგრამ ერთი პრობლემა მაინც მოუგვარებელია – მეძავების მომსახურებით სარგებლობაა აკრძალული.

***usatoday.com***

## ბრიტანელ კრის სანდსს 5 წელია ასლოკინებს



რა გაჭორეს ამისთანა ეს კაცი, 5 წელი რომ სლოკინს ვერ შეეშვა, რთული სათქმელია, თუმცა ფაქტია, ძაღლის თავი სულ სხვაგანაა დამარხული.

26 წლის კრის სანდსი ლინკოლნში დაიბადა და სულ რამდენიმე დღის წინ მშობლიურ ქალაქში არხეინად ცხოვრობდა – უკრავდა, მღეროდა, მეგობრებთან ურთიერთობდა, მოგზაურობდა და ასე შემდეგ.

მოგვიანებით ყველაფერი შეიცვალა – კრისს სლოკინი დაეწყო და აგერ უკვე 5 წელია, ამ უსიამოვნებას ვერაფერი მოუხერხა.

ცნობილია, რომ ახალგაზრდამ ძალიან დიდხანს იმკურნალა, მათ შორის, მიმართა მკურნალობის არატრადიციულ მეთოდებსაც, თუმცა უშედეგოდ. ექიმები უბრალოდ, დაიღალნენ მასთან მუშაობით. მით უმეტეს, რომ ისიც კი ვერ დაადგინეს, რა გახდა ამ უჩვეულო და არასასიამოვნო მოვლენის მიზეზი.

***peoples.ru***

## პროდუქტი, რომელიც ქალურ ლიბიდოზე დადებითად მოქმედებს



მუდმივი ყურადღება, მრავალფეროვანი სიურპრიზები და ბოლოსკენ – რომანტიკული ვახშამი, მამაკაცს მშვენიერ სქესთან წარმატებული ურთიერთობის დამყარების რეალურ შანსს აძლევს და თუკი საქმე „იქამდეც“ მივიდა, ნამდვილად არ გაწყენდათ იმ პროდუქტების ჩამონათვალის გაცნობა, რომლებიც ქალურ ლიბიდოზე შესანიშნავ გავლენას ახდენენ.

სპეციალისტები განსაკუთრებულ აქცენტს რამდენიმე პროდუქტზე აკეთებენ, რომლებსაც სექსუალური ფუნქციების აღდგენა და შეგრძნებების გამძაფრება შეუძლიათ.

გაინტერესებთ, მაინც, რომელ პროდუქტებზეა საუბარი?

მაგალითად, ხიზილალა და ხამანწკები.

ორივე პროდუქტი მდიდარი ყოფილა თუთიით და აქედან გამომდინარე, სასარგებლოა არა მხოლოდ მშვენიერი სქესის წარმომადგენლებისთვის, არამედ მამაკაცებისთვისაც.

თუკი ეს პროდუქტები შედარებით მიუწვდომლად გეჩვენებათ, ასეთ შემთხვევაში, საკვებში ცხარე წითელი წიწაკის დამატება შეიძლება, ოღონდაც, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი დანამდვილებით იცით, რომ თქვენი პარტნიორის საჭმლის მომნელებელი სისტემა გამართულად მუშაობს.

ქალის სექსუალური მოთხოვნილებების ასამაღლებლად დადებით შედეგს იძლევა ნივთიერება, რომელსაც იპოვით სატაცურში, გინკგოში, შოკოლადში, ლეღვში, ბანანებში და ასე შემდეგ.

***pronowosti.ru***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



1. სრული დასწრება სპექტაკლზე
2. მხ/ფ „როგორ მოვიპაროთ ...“
3. ჟიულ ვერნი. „საიდუმლო ...“
4. „წითელი“ პლანეტა
5. მომღერალი ... სპირსი
6. დიუმაშვილი. „ქალი ...“
7. რიტმული ტანვარჯიში
8. სასტუმროს მოსამსახურე
9. შვედური საესტრადო ანსამბლი
10. მომღერალი რაფაელა ...
11. დუმბაძე „... ვხედავ მზეს“
12. „შესანიშნავი შვიდეულის“ პერსონაჟი
13. საგაზეთო ახალი ამბავი
14. ძველი ნივთებით მოვაჭრე
15. მუზეუმი პარიზში
16. მხ/ფ „ვესტსაიდური ...“
17. საჯარისო ნაწილების ცვლა
18. ოპერა „ტრავიატა“ პერსონაჟი
19. რაზა, ანუ ...
20. მდინარე გერმანიაში
21. მთამსვლელი, ანუ ...
22. ქალაქი იტალიაში
23. პანკრეასის ჰორმონი
24. ალპური ყვავილი
25. მსახიობი ... ბერიმორი
26. წითელა, ყბაყურა, ჩუტყვავილა
27. ფრჩხილიდან ლაქის მოსაცილებელი
28. სოფელი სურამთან
29. კურორტი ბაღდათის რაიონში
30. სამართალდამცავი ორგანო
31. სია, ანუ ...
32. ებრაელთა ენა
33. საშარდე ბუშტის ანთება
34. რეჟისორი პიერ პაოლო ...
35. ცხენებშებმული მრავალადგილიანი კარეტა
36. ქალაქი უკრაინაში
37. ზოდიაქოს ნიშანი
38. ... შვარცენეგერი
39. რუს მეფეთა საგვარეულო
40. იტალიის მიმდებარე ზღვა
41. გიგანტური არსება ბერძ. მითში
42. მსახიობი ... ჟირარდო
43. მხატვარი პეტერ პაულ ...
44. მდინარე საფრანგეთში
45. სოფელი ოზურგეთის რაიონში
46. ნოდარ დუმბაძის რომანი
47. ნივთიერება აცეტილენის მისაღებად
48. თვალის კაკლის გარსი
49. მხ/ფ „... ჰამილტონი“
50. მომღერალი ... მეტონიძე
51. ანტილოპას სახეობა
52. საკანდელაბის როლი ნიკანდრო ...
53. ალკოჰოლური სასმელი
54. პოეტი ... უკრაინკა
55. ქალაქგარეთ გასეირნება
56. ხმადაბალი ჟღერადობა მუსიკაში
57. მდინარე აფრიკაში
58. მუხის ნაყოფი
59. უფროსი ფრინველი
60. „დათა თუთაშხია“ მედუქნის გოგო
61. მსახიობი კურტ ...
62. იატაკის მოსაწმენდი ტილო
63. „ლოლიტა“ ავტორი
64. სულხან-საბა ...
65. მისი დედაქალაქია პრიშტინა
66. კანის გამწმენდი სითხე
67. სრუტე ხმელთაშუა ზღვაზე
68. სასწავლო დაწესებულება
69. ზღვა შავი ზღვის აუზში
70. რეჟისორი ლეონიდ ...
71. ცხვრის ჯოგი
72. ცხენირემი
73. ბოჭკოვანი მცენარე
74. მხედართმთავარი პეტრე ...
75. ეთერზეთოვანი მცენარე
76. ფურცელი წელიწადის დღეებით
77. მითიური ცხენკაცი
78. პიროვნების იდენტიფიკაციის მეთოდი თითის ანაბეჭდებით
79. მეტროს მოძრავი კიბე
80. პრეზიდენტის ფიცი
81. ვულკანი სიცილიაზე
82. შრომის მოწონების შეძახილი
83. გრძელი ოთხთვლიანი ეტლი
84. მუსიკ. კომედიის ჟანრი
85. ხორბლის სახეობა
86. ბავშვის კბილი
87. სამიანი ნარდში
88. მყარი ცხიმი
89. ვაზის საყრდენი ძელი
90. ნამთვრალევი, ანუ ...
91. დიდი და მსუქანი მუცელი
92. სახელმწიფო აფრიკაში
93. „რწყილი და ...“
94. ბალეტ „ჟიზელის“ კომპოზიტორი
95. ხრახნი
96. რეჟისორი პედრო ...
97. ადრიანი დილა
98. მსახიობი ... ჩურიკოვა
99. ზეთში შემწვარი კარტოფილი
100. ზღვის ღმერთი ბერძ. მითში
101. მომღერალი ლედი ...
102. მარგალიტის წარმომქმნელი ფენა
103. მსახიობი ... ამირანაშვილი
104. დანაკარგი
105. მარილიანი სითხე კანზე
106. პატარა ნახვრეტი
107. დადებითი ელექტროდი
108. ღლავი
109. მომღერალი ... პავლიაშვილი
110. ოქროს ძაფი
111. ხან ... და ხან კრავს
112. ქედი რუსეთში
113. ურწმუნო ადამიანი
114. საბავშვო პოეტი ... ბარტო
115. ნიშნავს დაკვირვებას
116. ... ბედის მონახვევა
117. ჩხუბი
118. ნათურის აჟურული საფარი
119. „მთვარის მოტაცება“ თარამ ...
120. გოია. „შიშველი ...“
121. გიგანტური ზომის ადამიანი
122. ხის თხელი ფურცელი
123. ყურძნის ჯიში
124. ქვა ააგდო და ... შეუშვირა
125. მარკების შეგროვება
126. ავადმყოფი, ანუ ...
127. ჯარისკაცი (ძვ.)
128. შოლოხოვი. „წყნარი ...“
129. ადამიანებმული ეტლი
130. მუცლის ღრუდან გამოსული ნაწლავი
131. ფიქრები მომავალზე
132. დრო
133. დაბა. აწარმოებენ შაქარს
134. ლეშისმჭამელი ფრინველი
135. ქიმიური ჭურჭელი
136. ... მტრობას დაუნგრევია
137. ფეხბურთელი ფაბრიციო ...
138. რიცხვი 3,14
139. მათემატიკური უცნობი
140. „რა? ...? როდის?“
141. მსხლის ჯიში
142. მსახიობი ... ტაილერი
143. ტაბლეტი
144. ნაბიჯი ბალეტში
145. იტალიური ავტომობილი
146. მკვეხარა
147. ლატვიის დედაქალაქი
148. დაბალფასიანი, ანუ ...
149. ... პუგაჩოვა
150. მდინარე კახეთში
151. მსახიობი ... კახიანი
152. რაინდის ლითონის სამოსი
153. ნიშნავს ქვას
154. ... ზვინში ნემსს ვერ იპოვი
155. „... დაიხოცნენ მერე იქორწინეს“
156. მსახიობი ... პაჩინო



პასუხები: 1. ანშლაგი; 2. მილიონი; 3. კუნძული; 4. მარსი; 5. ბრიტნი; 6. კამელიებით; 7. აერობიკა; 8. პორტიე; 9. „აბბა“; 10. კარა; 11. მე; 12. კრისი; 13. ნიუსი; 14. ანტიკვარი; 15. ლუვრი; 16. ისტორია; 17. როტაცია; 18. ვიოლეტა; 19. ურდული; 20. რაინი; 21. ალპინისტი; 22. გენუა; 23. ინსულინი; 24. ედელვაისი; 25. დრიუ; 26. ბატონები; 27. აცეტონი; 28. იტრია; 29. საირმე; 30. პოლიცია; 31. რეესტრი; 32. ივრითი; 33. ცისტიტი; 34. პაზოლინი; 35. ომნიბუსი; 36. ოდესა; 37. კურო; 38. არნოლდ; 39. რიურიკი; 40. ადრიატიკა; 41. ტიტანი; 42. ანი; 43. რუბენსი; 44. რონა; 45. ლაითური; 46. „კუკარაჩა“; 47. კარბიდი; 48. რქოვანა; 49. ლედი; 50. ნატო; 51. ზებუ; 52. ქილია; 53. ვისკი; 54. ლესია; 55. პიკნიკი; 56. პიანო; 57. ნილოსი; 58. რკო; 59. კივი; 60. კიკუ; 61. რასელი; 62. ჩვარი; 63. ნაბოკოვი; 64. ორბელიანი; 65. კოსოვო; 66. ლოსიონი; 67. გიბრალტარი; 68. გიმნაზია; 69. აზოვი; 70. გაიდაი; 71. ფარა; 72. ლოსი; 73. სელი; 74. ბაგრატიონი; 75. ლავანდა; 76. კალენდარი; 77. კენტავრი; 78. დაქტილოსკოპია; 79. ესკალატორი; 80. ინაუგურაცია; 81. ეტნა; 82. ბარაქალა; 83. ტარანტასი; 84. ვოდევილი; 85. იფქლი; 86. კიჭი; 87. სე; 88. ქონი; 89. ჭიგო; 90. ნაბახუსევი; 91. ღიპი; 92. ტუნისი; 93. ჭიანჭველა; 94. ადანი; 95. ვინტი; 96. ალმოდოვარი; 97. სისხამი; 98. ინა; 99. ფრე; 100. პოსეიდონი; 101. გაგა; 102. სადაფი; 103. ამირან; 104. ზარალი; 105. ოფლი; 106. ჭუჭრუტანა; 107. ანოდი; 108. ლოქო; 109. სოსო; 110. სირმა; 111. ჭრის; 112. ურალი; 113. ათეისტი; 114. აგნია; 115. სკოპია; 116. ცდა; 117. დავა; 118. აბაჟური; 119. ემხვარი; 120. მახა; 121. გოლიათი; 122. ფანერა; 123. პინო; 124. თავი; 125. ფილატელია; 126. სნეული; 127. სალდათი; 128. დონი; 129. რიქშა; 130. თიაქარი; 131. ოცნება; 132. ჟამი; 133. აგარა; 134. სვავი; 135. სინჯარა; 136. რაც; 137. რავანელი; 138. პი; 139. იქსი; 140. სად; 141. გულაბი; 142. ლივ; 143. აბი; 144. პა; 145. „ფიატი“; 146. ბაქია; 147. რიგა; 148. იაფი; 149. ალა; 150. ალაზანი; 151. იმედა; 152. აბჯარი; 153. ლითი; 154. თივის; 155. ჯერ; 156. ან. იკითხება: სირტაკი.

# სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. დუმბაძე. „თეთრი ...“
2. მხატვარი დეიგო ...
3. მხ/ფ „... ზორბა“
4. მსახიობი ... ბროუდი
5. მაგნიტი
6. პატარა სასაცილო ამბავი
7. ტროპიკული ნაყოფი
8. ერთგვარი ქარი
9. ქონდრისკაცი გერმან. ზღაპრებში
10. ელვის ... პრესლი
11. მხატვარი ელენე ...
12. მწერალი ... ტოლსტოი
13. სწრაფად მოძრავი სხეულის ასხლეტა ზედაპირიდან
14. ქალაქი პოლონეთში
15. აღორძინების ეპოქა
16. ფეხბურთელი ლიონელ ...
17. მწერალი რეი ...
18. ანტიკური პერიოდის საბერძნეთი
19. თამაში ვოლანით
19ა. გერდას მეგობარი ბიჭუნა
20. პორტი, ანუ ...
21. ზღვის ღმერთი ბერძ.მით.
22. წინაღობის შებრუნ. სიდიდე
23. შინაური მტაცებელი ცხოველი
24. მსახიობი ... ლონგორია
25. ძაღლების სპეციალისტი
26. ბოსტნეული
27. შვედური ავტომობილი
28. მსახ. ... მაკგრეგორი
29. ცეცხლგამძლე კარადა
30. სისხლნაკლებობა
31. ბულგაკოვი „... და მარგარიტა“
32. ყვავილი
33. მსახიობი დრიუ ...
34. გულსაბნევი
35. მხ/ფ „ვერის უბნის მელოდიები“ ყასაბი ...
36. ზამბახი
37. მორღნელი ცხოველი
38. პოპკორნი
39. ნეპალის დედაქალაქი
40. მსახიობი მონიკა ...
41. კარლ გუცკოვი. „ურიელ ...“
42. ძვირფასი ქვა
43. მეეტლის ადგილი ეტლზე
44. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში
45. მხარე დას. საქართ.
46. დადუღებული ყურძნის წვენი
47. მსახიობი ... ბერნარი
48. ჯგუფის მოწინავე ადამიანი
49. „... მონტე-კრისტო“
50. მისი დედაქალაქია რომი
51. წრის ფორმის საგანი
52. მსახიობი პენელოპა ...
53. მომღერალი ბობ ...
54. პისტოლეტის დეტალი
55. კაციჭამია
56. ბოსტნეული
57. თბილისის უბანი
58. ქვიშით დაფარული სივრცე
59. ცუდი ამინდი
60. ანწხლი
61. შეხვედრა, ანუ ...
62. მწვადის ღუმელი
63. ბარაქა
64. ... სხივები: ბუნებრ. რადიაციის სახე
65. სიმინდის გამხმარი ღეროები
66. ტარზანის მაიმუნი
67. ესკიმოსების ყინულის სახლი
68. ველები სამხ. ამერიკაში
69. ფრანგი ნათელმხილველი
70. ცომის ამოსაყვანი ნივთიერება
71. ვარამი
72. „პარიზის ღვთისმშობ. ტაძარი“ კარიტანი ...
73. ორგანიზმი ვაშლში
74. ძველებ. სამეჯლისო ცეკვა
75. სასულე ინსტრუმენტი
76. კრემიანი ნამცხვარი
77. მორებით შეკრული ტრანსპორტი
78. ნისლი
79. ... ჰო, ... არა
80. ქალაქი ...-იორკი
81. ... ფონ ბისმარკი
82. მწერალი ... კრისტი
83. სოფელი რაჭაში
84. ხაფანგი
85. ბალზაკი. „მამა ...“
86. ძალა, ღონე
87. ქართველი გლეხის ფეხსაცმელი
88. კანტორა, ანუ ...
89. ნაგვის ყუთი
90. ხორბლის შესანახი შენობა
91. სიუჟეტიანი კედლის ხალიჩა
92. სია
93. ბუჩქი ყვითელი ყვავილებით
94. ერთგვარი რეპტილია
95. ვერტიკალურად მოძრავი კაბინა
96. ...-დე-ჟანეირო
97. მხ/ფ „... და მისი ძმები“
98. ქალების მოყვარული
99. მსახიობი მიშელ ...
100. „ოტელო“ პერსონაჟი
101. მდინარე ციმბირში
102. ... შეჯდა მწყერი ხესა
103. იტალიელი კომპოზიტორი
104. ვერცხლის მონეტა ძველ რომში
105. ყაიმი
106. მსახიობი და სცენარისტი ... ტომპსონი
107. ფრინველების დასაჭერი
108. ჟან რენო ფილმში
109. მწერალი ასტრიდ ...
110. მტაცებელი ფრინველი
111. სამშენებლო მასალა
112. მსახიობი ... აფლეკი
113. გულიანი ნამცხვარი
114. კანის ინფექც. დაავადება
115. მარჯვე, ეფექტური ილეთი
116. ქმედება ალალბედზე
117. ბია
118. ტროპიკული ხე
119. იარაღი ბუნიკით
120. გეომეტრიული ფიგურა
121. პოეტი ... ფოცხიშვილი
122. შენობა საწნახ-ლით
123. პირველი კოსმონავტი
124. ბრედ პიტი ფილმში
125. მთიდან არეკლილი ხმა
126. კაკალი, პალმის ნაყოფი
127. ფინური აბანო
128. ქალაქი შიდა ქართლში
129. საკერავი მანქანის დეტალი
130. ნორვეგიის დედაქალაქი
131. მხ/ფ „ზოლიანი ...“
132. რეჟისორი ... დე ბონტი
133. თბილისის უბანი
134. დადიანი. „... რუსი“
135. ნოტ დოს ძველი სახელწ.
136. ადგილი ვაგონში
137. იუპიტერის თანამგზავრი
138. საოცრება: როდოსის ...
139. ცხიმის კვალი ქსოვილზე
140. გამის ნოტი
141. მსახ. ... უიზერსპუნი
142. მზის ამოსვლა
143. ანსამბლი „სტატუს ...“
144. თხის ხმიანობა
145. მსახიობი ჯიმ ...
146. ქიმიური ელემენტი
147. პოეტი მომღერალი აღმ. ქვეყნებში
148. მდინარე იტალიაში

პასუხები: 1. ბაირაღები; 2. ველასკესი; 3. ბერძენი; 4. ედრიან; 5. ანდამატი; 6. ანეკდოტი; 7. ბანანი; 8. პასატი; 9. გნომი; 10. აარონ; 11. ახვლედიანი; 12. ლევ; 13. რიკოშეტი; 14. ლოძი; 15. რენესანსი; 16. მესი; 17. ბრედბერი; 18. ელადა; 19. ბადმინტონი; 19ა. კაი; 20. ნავსადგური; 21. პოსეიდონი; 22. მო; 23. კატა; 24. ევა; 25. კინოლოგი; 26. კარტოფილი; 27. „ვოლვო“; 28. ევან; 29. სეიფი; 30. ანემია; 31. ოსტატი; 32. ფურისულა; 33. ბერიმორი; 34. ბროში; 35. მიხაკა; 36. ირისი; 37. თრია; 38. ბატიბუტი; 39. კატმანდუ; 40. ვიტი; 41. აკოსტა; 42. ონიქსი; 43. კოფო; 44. მალტა; 45. იმერეთი; 46. ბადაგი; 47. სარა; 48. ლიდერი; 49. გრაფი; 50. იტალია; 51. რგოლი; 52. კრუსი; 53. მარლი; 54. სასხლეტი; 55. კანიბალი; 56. ბოლოკი; 57. ხარფუხი; 58. უდაბნო; 59. ავდარი; 60. ავი; 61. რანდევუ; 62. მაყალი; 63. ხვავი; 64. ულტრაიისფერი; 65. ჩალა; 66. ჩიტა; 67. იგლუ; 68. პატაგონია; 69. ნოსტრადამუსი; 70. საფუარი; 71. დარდი; 72. ფებუსი; 73. მატლი; 74. სარაბანდა; 75. კლარნეტი; 76. ტორტი; 77. ტივი; 78. ან; 80. ნიუ; 81. ოტო; 82. აგატა; 83. ირი; 84. მახე; 85. გორიო; 86. სიქა; 87. ქალამანი; 88. ოფისი; 89. ურნა; 90. საბძელი; 91. გობელენი; 92. რეესტრი; 93. იელი; 94. გეკონი; 95. ლიფტი; 96. რიო; 97. როკო; 98. მუსუსი; 99. მერსიე; 100. დეზდემონა; 101. ანგარა; 102. არა; 103. როსინი; 104. ტალერი; 105. ფრე; 106. ემა; 107. კაკანათი; 108. „ლეონი“; 109. ლინდგრენი; 110. ორბი; 111. ბეტონი; 112. ბენ; 113. ქადა; 114. მუნი; 115. ტრიუკი; 116. რისკი; 117. კომში; 118. ბამბუკი; 119. შუბი; 120. რომბი; 121. მორის; 122. მარანი; 123. გაგარინი; 124. „ტროა“; 125. ექო; 126. ქოქოსი; 127. საუნა; 128. გორი; 129. მაქო; 130. ოსლო; 131. რეისი; 132. იან; 133. საბურთალო; 134. უბედური; 135. უტ; 136. კუპე; 137. იო; 138. კოლოსი; 139. ლაქა; 140. სი; 141. რიზ; 142. ალიონი; 143. კვო; 144. კიკინი; 145. კერი; 146. აზოტი; 147. აკინი; 148. პო. იკითხება: ბრედ პიტი.

## კომპანია „ეფლში“ სამ სუნგი მუშაობს




ვაჰაჰა, ძალიან მაგარი სახალისო ამბავია – წარმოიდგინეთ, ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული ორი გიგანტი კომპანია და ასეთი მოულოდნელი კურიოზი!!!

როგორც ირკვევა, კომპანია „ეფლში“ მუშაობს ადამიანი, რომელსაც სამ სუნგი ჰქვია. თურმე, ეს ადამიანი ამერიკელებთან უკვე რამდენიმე წელია მუშაობს და თან საკმაოდ წარმატებული გაყიდვების სპეციალისტიც ყოფილა.

აღნიშნული ფაქტი რამდენიმე დასავლურმა გამოცემამ გაახმაურა, რომლებსაც ხელში ჩაუვარდათ „ეფლის“ თანამშრომლის სამ სუნგის სავიზიტო ბარათი და რასაკვირველია, ეს ყველაფერი მაშინვე საზოგადოებას გააგებინეს.

სავიზიტო ბარათზე მითითებულია მაღაზიის მისამართი, რომელშიც სამ სუნგი მუშაობს. მაღაზია კი კანადის ქალაქ ვანკუვერში მდებარეობს.

*mainfun.ru*

## საბჭოთა კავშირის შესაშინებლად, ამერიკა... მთვარის აფეთქებას აპირებდა



აბა, ამათა ჰყოლიათ, ხომ იცი?! აბა, ეს ამხელა მთვარე საკუჭნაო ხომ არ არის, მამაძაღლი, ააფეთქო?!

ბრიტანული მედიის მტკიცებით, ამერიკის ხელისუფლება მთვარეზე ბირთვული აფეთქების მოწყობას გეგმავდა, რათა „ცივი ომის“ დროს საბჭოთა კავშირის ხელისუფლება შეეშინებინა.

კოსმოსური დაპირისპირების ხანაში ამერიკის ხელისუფლებამ საიდუმლო პროექტი შეიმუშავა, რომელსაც სრულიად უწყინარი სახელწოდება ჰქონდა მიღებული: „მთვარეზე კვლევითი ფრენის შესაძლებლობის შესწავლა“ და „პროექტი ა119“. მისი დასრულება 1959 წლისთვის იგეგმებოდა.

ამერიკის ხელისუფლების ჩანაფიქრით, არც ისე მოზრდილი რაკეტა ბირთვული მოწყობილობით დაუსახლებელი ადგილიდან უნდა გაშვებულიყო და მთვარემდე მიეღწია. აპარატის მთვარის ზედაპირთან შეჯახების შედეგად მძლავრი აფეთქება მოხდებოდა. არსებობდა მოსაზრება, რომ რაკეტის გაშვება არა მხოლოდ ამერიკის კოსმოსურ უპირატესობას გაუსვამდა ხაზს, არამედ საბჭოთა კავშირის ხელისუფლებას მშვიდ ძილსაც დაუფრთხობდა.

საიდუმლო პროექტის ავტორებს თავდაპირველად წყალბადის ბომბის გამოყენება სურდათ, თუმცა ამ იდეაზე ასაფეთქებლის ძალიან დიდი წონის გამო უარი თქვეს. სწორედ ამიტომ დასთანხმდნენ სპეციალისტები, რომ მთვარე ბირთვულ ბომბს უნდა აეფეთქებინა. პროექტის რეალიზების აჩქარება მას შემდეგ გადაწყდა, რაც საბჭოთა კავშირმა კოსმოსში პირველი თანამგზავრი გაუშვა.

საბოლოო ჯამში, ამერიკის ხელისუფლებამ ჩანაფიქრზე უარი თქვა, რადგან ჩათვალა, რომ თუკი რამე ისე არ წავიდოდა, კაცობრიობის არსებობა ეჭვქვეშ დადგებოდა.

*vz.ru*

## მეცნიერები ბრაილის შრიფტს თვალის ბადურაში ჩანერგავენ




ტექნოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ნაწილი თვალის ბადურის პროთეზის შექმნაა, რომელიც უსინათლო ადამიანს საშუალებას მისცემს, „დაინახოს“ სხვადასხვა ობიექტი, აღიქვას მათი ფერები, მოძრაობა.



ეს ყველაფერი შესაძლებელი გახდა სათვალეზე დასამაგრებელი ვიდეოკამერისა და ქამარზე მისაბმელი მინიკომპიუტერის წყალობით, რომლებიც პაციენტმა მუდმივად თან უნდა იქონიოს.

სიახლის ავტორი კომპანია „არგუსია“, რომლის მიერ შექმნილი მოწყობილობის მუშაობის პრინციპი ასეთია: პროთეზი უსინათლო ადამიანის თვალში იმპლანტირდება, ბადურას ზედაპირზე დაიტანება მატრიცა, რომელიც 60 ელექტროდისგან შედგება. სათვალეზე დამაგრებული ვიდეოკამერა სინათლეს იღებს, რომელიც ელექტრონულ იმპულსებად გარდაიქმნება. შემდეგ ეს იმპულსები ელექტროდებზე ვრცელდება, რომლებიც, თავის მხრივ, მხედველობითი ნერვის უჯრედებს ასტიმულირებს. მორიგ ეტაპზე საქმეში უკვე ადამიანის თავის ტვინი ერთვება, რომელიც გამოსახულებას ნათელი და მუქი წერტილებისგან ქმნის. პაციენტებს მოუწევთ იმის შესწავლა, მოახდინონ თუ არა მიღებული ინფორმაციის ინტერპრეტირება და რეალურ სამყაროსთან შეფარდება.

ექსპერიმენტებში მოხალისემ ყოველი სიმბოლო ნახევარი წამით დაინახა. ასევე, განასხვავა ცალკეული ასოები სიტყვებში, რომლებიც არაუმეტეს ოთხი ასოსგან შედგებოდა. შემთხვევათა 89 პროცენტში პაციენტმა გაარჩია ცალკეული სიმბოლოები, ხოლო 80 პროცენტში ოთხასოიანი სიტყვები სწორად ამოიცნო.

რამდენად მალე იქნება ხელმისაწვდომი ეს მოწყობილობა და რა იქნება მისი ფასი, სამწუხაროდ, ალარ ზუსტდება.

*ecolife.ru*

## პარკინსონის დაავადება ველოსიპედის დახმარებით იკურნება?



ყოველი შემთხვევისთვის მაინც შეგახსენებთ, რომ პარკინსონის დაავადება, ეს არის თავის ტვინის პროგრესირებადი დაავადება, რომელიც ვითარდება ხანშიშესულ ადამიანებში და ხასიათდება სხეულის ნაწილების უნებლიე მოძრაობებით, მეტყველების გაძნელებითა და ზოგადად, კოორდინაციის დარღვევით.

პარკინსონის დაავადება, სამწუხაროდ, ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და ამასთანავე, რთულად მოსაგვარებელი პრობლემაა. აქედან გამომდინარე, ამერიკელი ნევროლოგების მიგნება, ვფიქრობთ, ძალიან მნიშვნელოვანია.

მათი განმარტებით, პარკინსონის დაავადების სიმპტომები ძალიან მნიშვნელოვნად შემსუბუქდა, როცა პაციენტები ველოსიპედებით გადაადგილდებოდნენ.

კვლევის ფარგლებში, 26 პაციენტი ველოსიპედით 2 თვის მანძილზე კვირაში სამჯერ ვარჯიშობდა. ამასთანავე, ნაწილი შედარებით ნელა მოძრაობდა, ნაწილი კი, შესაბამისად, სწრაფად. ორივე შემთხვევაში შედეგი საგრძნობი აღმოჩნდა, განსაკუთრებული შვება კი მაინც უფრო აქტიური ვარჯიშების შემსრულებლებმა მიიღეს.

*fitnestile.ru*

## მამაკაცების უმრავლესობა ქალ მეგობართან სექსუალურ ურთიერთობებზე უარს არ იტყოდა



ბევრი ადამიანის გამოცდილებიდან გამომდინარე, მეგობრობა ქალსა და მამაკაცს შორის არა მხოლოდ შესაძლებელი, არამედ საკმაოდ გავრცელებულიცაა. საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლები ცხოვრობენ, მუშაობენ და ურთიერთობენ ერთმანეთთან, მაგრამ ინტიმურ კავშირებს კი ერიდებიან. როგორც მეცნიერები ამტკიცებენ, ჩვენ მხოლოდ ვფიქრობთ, რომ შეგვიძლია, „მხოლოდ მეგობრები ვიყოთ“, თუმცა რომანის გაბმის ალბათობა ყოველთვის რჩება და შეიძლება ყველაზე შეუფერებელ მომენტში გაჩნდეს.

ვისკონსინ-ოკლერის უნივერსიტეტის მკვლევარებმა მეგობრების 88 წყვილი შეისწავლეს. ყველა მონაწილე კონფიდენციალურობასა და ანონიმურობაში დაარწმუნეს, რათა პასუხები გულახდილი ყოფილიყო. წყვილები გააცალკევეს და თითოეულს დაუსვეს კითხვები, რომლებიც მეგობრის მიმართ რომანტიკული გრძნობების არსებობა-არარსებობას ეხებოდა. შედეგად აღმოჩნდა, რომ საწინააღმდეგო სქესთან მეგობრობას მამაკაცები და ქალები სხვადასხვაგვარად უყურებენ. კერძოდ, ძლიერ სქესს უფრო ხშირად იზიდავს მეგობარი, ვიდრე პირიქით. გარდა ამისა, მამაკაცი უფრო ხშირად ფიქრობს, რომ მეგობარი მის მიმართ ასევე არ არის გულგრილი.

მოკლედ, შეიძლება თუ არა ქალისა და მამაკაცის მეგობრობა? თუკი საკითხს ქალის მხრიდან მივუდგებით, კი, შეიძლება! მაგრამ თუკი მამაკაცის თვალით შევხედავთ, შეიძლება, ოღონდაც ასეთი მეგობრობა ადვილად გადავიდოდა რომანში.

*factroom.ru*

## კატები ვერ ხედავენ წითელს, მაგრამ არჩევენ ნაცრისფერის 25 შეფერილობას



ერთი წუწუნა ადამიანი რომ ამბობს, იცით? – „საბოლოოდ დავრწმუნდი ჩემს უიღბლობაში, როცა შავმა კატამ გზა დამითმო...“

ისე, რა იციან ამ შავ კატასთან დაკავშირებით ამდენი ცრურწმენა?! კაცო, თუკი კატამ გზა გადაგიჭრათ, ესე იგი, ქუჩის მეორე მხარეს აქვს საქმე და ადამიანის კარიერული წინსვლა სულ თავის ქროლა თვალებზე ჰკიდია.

ჰო, მართლა, იცით, როგორი უცნაურია კატის თვალების მოწყობილობა? მაგალითად, როგორც ადამიანი, მასაც ორი სახეობის ფოტომგრძნობელობის უჯრედი აქვს (კონუსები და ჩხირები). მაგრამ თუკი ადამიანის ერთ ჩხირზე შედარებით მკვეთრი ხედვის რაიონში 4 ჩხირი მოდის, კატების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 25-ია. კატა ადამიანზე ბევრად ცუდად აღიქვამს ფერებს, მაგალითად, წითელს საერთოდაც ვერ ხედავს, ცისფერისგან განსხვავებით. სამაგიეროდ, ნაცრისფერის აღქმაში ისინი რეკორდსმენები არიან და თაგვის შეფერილობის 25 ტიპს არჩევენ.

*surfingbird.ru*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



ქირურგი სიძე ავადმყოფი სიმამრისთვის ოპერაციის ჩასატარებლად ემზადება.

სიმამრი:

– მოკლედ, კარგად დაფიქრდი და დასკვნა და სამოქმედო გეგმა ისე შეიმუშავე – თუ მოვკვდი, შენი სიდედრი საცხოვრებლად ეგრევე თავის ქალიშვილთან გაიქცევა!..

*****

– მომისმინე, ნინიკო, რომ გაგაუპატიურო, რა რეაქცია გექნება?

– მეწყინება!

– ძალიან?

– არა...

*****

ცოლი:

– როგორც იქნა, ჩავაბარე მართვის მოწმობის გამოცდა. ახლა მანქანა მინდა ვიყიდო. რას მირჩევ, რომელი მანქანა ჯობია ახალგაზრდა გოგოსთვის?

– სარეცხი!!!

*****

– ამჟამინდელი სახელმძღვანელოების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ნარკოტიკებზე აუცილებელი შემოწმება სკოლის მოსწავლეებს კი არა, განათლების სამინისტროს თანამშრომლებს უნდა ჩაუტარდეთ!!!

*****



– ბიჭი გავიცანი... ცოტა ხანში ერთად გადავედით საცხოვრებლად – ბინა ვიქირავეთ და ქირის ფულს შუაზე ვიყოფდით... ერთი წლის წინათ გავიგე, რომ ბინა მისი საკუთრება ყოფილა!..

*****

კოტეს იეღოველები მიადგნენ:

– დილა მშვიდობისა! არ გსურთ, თქვენს სახლში იესო შეუშვათ?

– იესო შემოვიდეს, თქვენ აახვიეთ აქედან!!!

*****

ადვოკატი დაცვის ქვეშ მყოფს:

– თქვენთვის ორი ამბავი მაქვს: ცუდი და კარგი!

– ცუდი რომელია?

– თქვენი სისხლი დაემთხვა მოკლულის ცხედარზე აღმოჩენილი სისხლს!..

– ფუ, ამის დედაც... და კარგი რაღაა?

– ქოლესტერინის მაჩვენებელი სულ რაღაც 140 გაქვთ...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

მორის ფოცხიშვილის ოჯახი იუწყება, რომ გარდაიცვალა

**როზიტა ვერბი-ფოცხიშვილი**

**პანაშვიდი:** სამშაბათსა და ოთხშაბათს, 25, 26 ნოემბერს, 17 საათზე;
**მისამართი:** თბილისი, ლარსის ქ. №1, მე-2 სადარბაზო, მე-4 სართული.
**დაკრძალვა:** დედათა მონასტერში, 15 საათზე;
**მისამართი:** მცხეთა, სამთავროს 27. **გადასვენება:** თბილისიდან მცხეთაში 27 ნოემბერს ლარსის ქუჩიდან 10 საათზე;
ავტობუსი გავა მცხეთაში ლარსის ქუჩიდან 27 ნოემბერს, 13 საათზე.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

## კითხვა ტვინს ნაადრევი დაბერებისგან იცავს



ჩრდილოეთ ამერიკის რადიოლოგთა საზოგადოების ყოველწლიურ შეხვედრაზე, მეცნიერებმა დეტალურად განმარტეს, რატომ საჭიროებს ადამიანის თავის ტვინი მუდმივ ინტელექტუალურ საქმიანობას.

მათი თქმით, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეუძლია ტვინის თეთრ ნივთიერებას ხანგრძლივად შეინარჩუნოს ჯანმრთელობა და ნორმალურად მუშაობის შესაძლებლობა.

რაშის უნივერსიტეტის (ჩიკაგო) სპეციალისტებმა მოხუცებულების ტვინში თეთრ ნივთიერებასა და მათ ინტელექტუალურ აქტიურობას შორის მჭიდრო კავშირი აღმოაჩინეს.

ექსპერიმენტებში მათ დაადგინეს, რომ ტვინის აღნიშნული ნივთიერების სიმკვრივე და ჯანმრთელობა ბევრად მაღალია იმ ადამიანებში, რომელთა ტვინიც მუდმივად აქტიურად მუშაობს. კვლევაში 152 მოხალისე იყო ჩართული, საშუალო ასაკით – 80 წელი.

არც ერთ მათგანს არ ჰქონდა მეხსიერების ან ყურადღების გაფანტვა. 12 თვის მანძილზე მოხალისეთა ტვინს სპექტრალური ტომოგრაფით სკანირება უტარდებოდა.

საბოლოო ჯამში, ექსპერიმენტის ავტორებმა დაასკვნეს, რომ თავის ტვინის დაბერებისგან გადარჩენა სავსებით შესაძლებელია კითხვით, წერილების წერით, ჭადრაკის თამაშით და მოკლედ, ყველაფრით, რაც ინტელექტუალურ მუშაობას უკავშირდება.

*best-strotelstvo.ru*

## სავსემთვარეობა ფსიქოლოგიურ აშლილობებს არ იწვევს



მედდების 80 და ექიმების 64 პროცენტი მიიჩნევს, რომ მთვარის ფაზებსა და ადამიანების ფსიქიკურ მდგომარეობას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. ფართოდ გავრცელებული მოსაზრების წინააღმდეგ ილაშქრებს ლავალის ფსიქოლოგიის უნივერსიტეტის პროფესორი ჟენევიევ ბელევილი, რომელიც ამტკიცებს, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ მითია.

მისმა ჯგუფმა იმ პაციენტების მდგომარეობა შეისწავლა, რომლებმაც ფსიქოლოგიური პრობლემების არსებობის გამო მონრეალის რამდენიმე კლინიკას 2005 წლის მარტიდან 2008 წლის აპრილამდე მიმართეს. განსაკუთრებული ყურადღება 771 პაციენტს დაეთმო, რომლებმაც გადაუდებელი დახმარების განყოფილებას გულის ტკივილის ჩივილით მიმართეს, თუმცა ექიმებმა უსიამოვნების მიზეზს ვერ მიაკვლიეს.

ფსიქოლოგიურმა შეფასებამ აჩვენა, რომ ამ პაციენტების უმრავლესობა პანიკური შეტევებისგან, მღელვარებისგან და თვითმკვლელობაზე ფიქრისგან იტანჯებოდა. ამასთანავე, ფსიქოლოგიურ პრობლემებსა და მთვარის ფაზებს შორის კავშირი მხოლოდ ერთ შემთხვევაში გამოვლინდა, რის საფუძველზეც სპეციალისტებმა დაასკვნეს, რომ სავსემთვარეობა ფსიქოლოგიურ აშლილობაში დამნაშავე საერთოდაც არ არის.

*doctor-dom.com*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**25 ნოემბერი:** შეეცადეთ, ურთიერთობებში კორექტული იყოთ. საუბრისას სიტყვები კარგად აწონდაწონეთ, შეიძლება უნებლიეთ ვინმეს აწყენინოთ.

**კურო 22.04-21.05**
**25 ნოემბერი:** შეიძლება დღეს ვიღაცა შეგიყვარდეთ. თუ თქვენი გული დაკავებულია, საპირისპირო სქესის წარმომადგენლებს მოერიდეთ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**25 ნოემბერი:** სხვისი პრობლემებით თავს ნუ დაიტვირთავთ, დღეს თქვენიც საკმარისად გექნებათ. ჯერ საკუთარ საქმეებს მიხედეთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**25 ნოემბერი:** კომპრომისზე თუ არ წახვალთ, უსიამოვნებები არ აგცდებათ. ამბიციები მოთოკეთ და ბევრად მეტ შედეგს მიიღებთ, ვიდრე ელოდებით.

**ლომი 23.07-22.08**
**25 ნოემბერი:** ძალიან კარგი დღეა, მთავარია, არ იზარმაცოთ. რა საქმეც არ უნდა წამოიწყოთ, ყველაფერი გამოგივათ.

**ქალწული 23.08-22.09**
**25 ნოემბერი:** ძალიან მიამიტი იქნებით, მაგრამ ამის გამო არ დაზარალდებით, მოტყუებას არავინ არ გიპირებთ.

**სასწორი 23.09-22.10**
**25 ნოემბერი:** როგორც ჩანს, ყურადღებიანი მსმენელის როლში მოგიწევთ ყოფნა, შემდეგ კი ვიღაც გეყოლებათ დასამშვიდებელი. საკუთარი საქმეების დროებით გადადება მოგიწევთ.

**მორიელი 23.10-21.11**
**25 ნოემბერი:** შეიძლება გაუთვალისწინებელ სირთულეებს წააწყდეთ. მათი დაძლევა დიდ დროს და ენერგიას წაგართმევთ, მაგრამ ძირითად მიზანს ვერ აგაცილებთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**25 ნოემბერი:** ყოყმანი არ გახასიათებთ, მაგრამ დღეს სწორედ ყოყმანი აგაცილებთ თავიდან პრობლემებს. სიფრთხილე არ დაკარგოთ და ზედმეტად არ იჩქაროთ, მიზანთან ასე უფრო მიხვალთ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**25 ნოემბერი:** მოთმინება იქონიეთ და ადამიანს, ვისთანაც დღეს მოგიწევთ ურთიერთობა, თქვენი გრძნობები არ გაუმჟღავნოთ, თორემ ზედმეტ პრობლემებს წამოიკიდებთ.

**მერწყული 20.01-18.02**
**25 ნოემბერი:** შეიძლება დღეს განმარტოების დაუოკებელი სურვილი გაგიჩნდეთ. ამაში ხელს არავინ შეგიშლით, მაგრამ დაფიქრდით, იქნებ საკითხი, რომელიც პრობლემად მიგაჩნიათ, საპრობლემო სულაც არ არის.

**თევზები 19.02-20.03**
**25 ნოემბერი:** ნებისმიერი სახის ცვლილებებისთვის კარგი დღეა. დაფიქრდით და გაიხსენეთ, უახლოეს წარსულში რის შეცვლაზე ფიქრობდით.

## ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი კომა 42 წელი გრძელდებოდა



ამ ინფორმაციამ ინტერნეტში სხვადასხვაგვარი შეფასება გამოიწვია – ზოგი ფიქრობს, რომ 42 წელი აპარატზე ადამიანის მიერთება მისი ტანჯვაა და მეტი არაფერი, დანარჩენები კი სხვისი გაჭირვების გაგების შემდეგ, უბრალოდ, ცრემლად დაიღვარნენ.

მაიამიში 59 წლის ქალი გარდაიცვალა, რომელმაც თითქმის მთელი ცხოვრება უგონო მდგომარეობაში გაატარა. საუბარი ეხება ედუარდა ო'ბარას, რომელსაც იქაურმა მედიამ „მძინარე ფიფქია“ შეარქვა.

16 წლის ასაკში ო'ბარა დიაბეტურ კომაში ჩავარდა და მას შემდეგ გონზე აღარც მოსულა. ცნობილია, რომ პაციენტს თვალები მთელი ამ ხნის მანძილზე გახელილი ჰქონდა, თუმცა გონზე ვერ მოდიოდა: მას არაფერი ესმოდა, ვერაფერს ხედავდა და ზოგადად, სამყაროს ვერ აღიქვამდა.

უკანასკნელი სიტყვები, რომელიც მან დედას უთხრა, ასე ჟღერდა: „შემპირდი, რომ არასოდეს მიმატოვებ“. დედაც მომდენო 35 წელი მის გვერდით იყო – უხდიდა დაბადების დღეებს, ბანდა, თმებს ვარცხნიდა და მხოლოდ 90 წუთი ტოვებდა, რათა ცოტა წაეძინა და შხაპი მიეღო. 2008 წელს ედუარდა ო'ბარას დედა 80 წლის ასაკში გარდაიცვალა და ის მეორე ქალიშვილმა – კოლინმა შეცვალა.

– ედუარდამ უბრალოდ, თვალები დახუჭა და სამოთხეში დედასთან გასწია, – ასე ამცნო კოლინ ო'ბარამ დის გარდაცვალება ახლობლებს...

*pronowosti.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



საკონტროლო წერაში კოტემ ორიანი მიიღო. მამამ სიტუაციის გარკვევა გადაწყვიტა და სკოლაში მივიდა. მასწავლებელმაც პირდაპირ მიახალა, თქვენმა შვილმა ყველაფერი გვერდზე მჯდომი კლასელისგან გადაიწერაო.

– აგერ, ნახეთ, კითხვაა ასეთი: რომელ წელს დაიბადა ილია ჭავჭავაძე? ნინიკო სწორად პასუხობს – „1837 წელს“. იმავეს წერს თქვენი ვაჟიც.

– მერე რა? იქნებ ჩემმა ვაჟმაც იცოდა სწორი პასუხი?

– კარგით, გავაგრძელოთ – მეორე კითხვაა: ვინ დაწერა „თავსაფრიანი დედაკაცი“? ნინიკო წერს: აკაკი წერეთელმა, შეცდომას იმეორებს კოტეც.

– იქნებ ორივეს შეეშალა, არ შეიძლება?!

– კი, შეიძლება... აი, შემდეგი კითხვა: რომელი ნაწარმოებების ავტორია ზაქარია ფალიაშვილი? ნინიკომ დაწერა „არ ვიცი“, კოტემ კი – „არც მე“...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

ალია »211359457 ქრონიკა

დამფუძნებელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაჭვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge

®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 04.10